წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 9 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 163

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ქრისტეშობისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 80 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)
ოთხშაბათს 9 ქრისტეშობისთვეს 1915 წ.
ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ვიქტორ გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა
მსხვერპლი
პიესას დასდგამს ალ. წუწუნავა.
II
რაც არ მერგება არ შემერგება
ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი
მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ა., იმედაშვილი ალ., იშხნელი გიორ., მგალობლიშვილი, მამფორია ილ., ჟუჟიძე, იოსებ. სარაული, კ. რომანიშვილი.
ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. ✦ ✦ დასაწყისი სალამოს 9 ს.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოება.
მორიგი წევრი გამგეობისა დ. დუმბაძე.
შემდეგი წარმოდგენა ორშაბათს, 21 ქრისტეშობისვეს მზადდება „იუდას მემკვიდრე“, „პატიოსნება“ და „ოტელო“ და სხ.
(3—13—3)

მეცხვარეების საყურადღებოდ.
იყიდება მთა-იალაღი და საძოვარი მიწები თრიალეთში
ბორჯომისა და სახელმწიფო მამულების შუა (გორის მაზრა), ზომით 800 დესეტინაზე მეტი. მამული ეკუთვნის თ-დ იასონ დავითის ძე ციციშვილს. მამული უვალოა. სყიდვის მსურველმა უნდა მიჰმართოს ქ. სიღნაღში ნიკ. ივ. ახმეტელაშვილს
(6—1)

„წყნეთის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა
სასტუმრო „ჯუგაანი“
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—15 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

„ქ ი ს ა“

საშობაო საჩუქარი კავკას. არმიის ჯარისკაცთათვის.

უავგუსტოესო მეუღლე ხემწიფის მოადგილისა კავკასიაში, მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა დიდი მთავარი ანასტასია ნიკოლოზის ასული, აწყობს გზავნას საშობაო საჩუქრებისა კავკასიის არმიის ჯარისკაცთათვის: „ქისების“ (ტოპრაკების.)

თვითეული შემომწირველი მისცემს ჩვენ გმირ ჯარისკაცთ საჩუქარს, რომელიც მოაგონებს მებრძოლებს, რომ შობის დიდებულ დღესასწაულ დღეს ყველა ოჯახში იგონებენ მას.

შემოწირულებათ მიიღებენ მადლობით მხოლოდ: **ცხვირსახოცები, ფოსტის ქაღალდი, კარანდაშები, საპონი, თუთუნი, ტკბილეულობა და ასანთი.**

შემომწირველთ სთხოვენ უკვე დამზადებულ ქისების გარეგნული სიდიდის და შიგ ჩაწყობილი ნივთთა განსხვავების თავიდგან ასაცდენლად, თვითეულ ამგვარ ქისაში ჩააწყონ: ერთი ცხვირსახოცი 5 თაბახი ფოშტის ქაღალდი, 5 კანვერტი,, ერთი კარანდაში, 1/4 გირვანქა თუთუნი, 1/4 გირვანქა ტკბილეულობა, ერთი კოლოფი ასანთი და საპონი.

ყველა ეს შემოწირულებანი, მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი მთავრის ანასტასია ნიკოლოზის ასულის მინდობილობით, მიიღებიან ყოველ დღე, დღის 2-4 საათამდე, ღენერალ—ლეიტენანტ ბარონ სტალის მიერ, ერმოლაევის ქუჩა № 9. და შეიძლება მათი ამავე მისამართით ფოსტით გაგზავნაც.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
✦ ვერის დაღმართი № 1 ✦
ტელეფონი 17—05

ქ. გ ო რ შ ი
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

ე ქ ი მ ი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. სალამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

სტუდენტი-ფილოლოგი
პეტროგრადის უნივერსიტეტისა
ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.
საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.
პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
15(—4)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე სალამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ მ ა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მ უ ხ ა ძ ე
იღებს ავადმყოფთ სალამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი
ეძებს გაკვეთილს,
ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. მისამართი იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.
(15—11—9)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 4 ქრისტეშობისთვე. დასავლეთის ფრონტი. ვეძის რაიონში შეტაკება ხდებოდა, მაგრამ უმნიშვნელო. დობრონოვცეს რაიონში ზალეშჩიკოვიდან ჩრდილოეთით ჩვენის თხრილების წინ მოწინაალმდეგემ ორი სანგარი ააფეთქა, ამის შემდეგ მოწინააღმდეგე ეცადა ყუმბარებისგან ამოთხრილი ორმოები დაეჭირა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ბალტიის ზღვა. მოწინააღმოეგის კრეისერი „ბრემენი“ და ნაღმოსანი ჩაძირულ იქმნა.

კავკასიის ფრონტი. 5 ქრისტეშობისთვეს ღამით ჩვენი მოწინავე რაზმი პრაპ. კოლესნიკოვის მეთაურობით იშხანის რაიონში, ოლთისიდან სამხრეთ-დასავლეთით, 50 ნაბიჯზე მიიპარა ოსმალთა ბანაკთან, ხიშტებით იერიში მიიტანა და ნაწილი მოწინააღმდეგე ჯარისა დახოცა, ნაწილიც გაჰფანტა. ამ დროს მეორე წყება ოსმალთა ჯარი კოლესნიკოვის რაზმს შემოეხვია და ტყვედ იქმნა წაყვანილი. მეორე წყებამ ჩვენის მზვერავებისამ ფელთფებელ გორელკოს მეთაურობით როცა ეს დაინახა, იერიში მიიტანა ოსმალებზე და კოლესნიკოვი გაანთავისუფლა. ორივე რაზმი შეერთდენ და თავის პოზიციაზე დაბრუნდნენ. თეირანთან და ქამადანთან მოწინააღმდეგის ჯარს იერიში აღარ განუახლებია.

ტოკიო, 7 ქრისტეშობ. მთავრობის პარტიათაგან დადგენილია იაპონიის დიპლომატიამ დღევანდელი მომენტით უნდა ისარგებლოს, რათა შორეულ აღმოსავლეთში ხელმძღვანელობა თავს იდოს.

ლონდონი, 7 ქრისტეშობ. ოფიციალად იუწყებიან, სუეცში მყოფი ყველა ჯარი, მასთანვე ავსტრალიისა და ახალზელანდიისაც გადაყვანილ იქმნება სხვა საომარ ადგილას.

ლონდონი, 6—7 ქრისტეშობისთვე. საფრანგეთში მყოფი ინგლისელთა მთავარი შტაბი იუწყება, დილით მთელ ფრონტის სიგრძეზე იპრთან გერმანელებმა შხამიანი ბოლი გამოუშვეს და თან უშედეგო იერიში მოიტანეს. შუადღემდე ზარბაზნის სროლა არ შეწყვეტილა. ჰაეროპლანების რამდენიმე შეტაკება მოხდა.

ინგლისელებისაგან ნახმარმა საშვალებამ, შხამიან ბოლის წინააღმდეგ ნაყოფი გამოიღო.—ბრძოლის ხაზი მოწინააღმდეგემ ვერსად ვერ გაარღვია. იპრიდან აღმოსავლეთით და სამხრეთ მესინიდან მოწინააღმდეგის არტილერია თავგამოდებით მოქმედებდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთში.

საბერძნეთი და ბულგარეთი

„კიოლნიშე ცაიტუნგი“ სწერს: ბულგარეთის დესპანმა საბერძნეთის მთავრობას განუცხადა: რადგანაც მოკავშირეთა ჯარმა საბერძნეთის შუაგულისაკენ დაიხია, ბულგარეთს საბერძნეთის ნეიტრალობა დარღვეულად მიაჩნია. თუმცა ბულგარეთს საბერძნეთის მიწა-წყალი ხელშეუხებლად მიაჩნია, მაგრამ თუ საბერძნეთი მოკავშირეებს ნებას დართავს თავისს მიწაწყალზე ახალი საომარი მოქმედება დაიწყონ, ეს საქმეს გაართულებს.

სალონიკიდან ცნობაა: ბულგარელები და გერმანელები საბერძნეთზე შესასევად ემზადებიან. ამისათვის გენერალ გალვიცის ჯარს სტრუმიცის მიდამოებში უყრიან თავს.

მოკავშირეების ჯარი ძალიან ამაგრებს სალონიკის მთა-გორიან მიდამოებს; ეს სიმაგრეები მედგარ იერიშსაც გაუძლებსო, სწერენ გაზეთები.

ხმა დადის, იტალიელებმა ალბანეთში ჯარი გადასხესო.

რუმინეთის ზრახვანი.

რუმინეთის პირველ მინისტრად ნამყოფი კარპი გაზეთ „მოლდავა“-ში სწერს: რუმინეთს სამი გზა აქვს:

პირველი—აშკარად გადასვლა ავსტ.-გერმანიის მხარეს. ამ გზით რუმინეთი ფართო ადგილებს შეიმატებდა.

მეორე—მოკავშირეების მხარეს გადასვლა, რასაც ეხლანდელი პირველი მინისტრი ბრატიანუ ვერა ჰხედავს.

მესამე—სრული ნეიტრალობა ომის დასრულებამდე. თუმცა ამ გზით რუმინეთი ვერაფერს შეიმატებს, პირიქით იგი ჰკარგავს ყველაფერს, რასაც მას ავსტ.-გერმანეთი ჰპირდება, თუ რუმინეთი მას მიემხრო.

რუმინეთის პოზიცია.

რუმინეთის პრემიერ-მინისტრად ნამყოფმა მაიორესკუმ განაცხადა, რომ რუმინეთი მოვალე იყო დაჰხმარებოდა სერბეთს და საბერძნეთს იმ შემთხვევაში, თუ ბულგარეთი მათ ცალცალკე დაეცემოდა. ახლა კი, როდესაც ბულგარეთი გერმანეთთან ერთად ებრძვის სერბეთს, რუმინეთი მოვალე არ არის რამე დახმარება აღმოუჩინოსო.

ზავის გარშემო.

უნგრეთის პარლამენტის ცნობილი მოღვაწენი ამტკიცებენ, ომის გაგრძელება ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ხელს შეუწყობს გერმანეთის გაძლიერებასაო.

ლიბკნეხტი უანექსიო ზავს მოითხოვს.

გერმანელი სტუდენტები.

პრუსიის სახალხო განათლების მინისტრის ცნობებით, 65 ათას გერმანელ სტუდენტიდან, გიორგობისთვის გასვლამდე ბრძოლის ველზე ყოფილა გასული 50 ათასზე მეტი.

მონასტირი ბულგარეთისაა

სოფიაში მყოფს გერმანეთის დესპანს განუცხადებია: მონასტირი საბოლოოდ ბულგარეთს გადაეცემა და მთელი ადმინისტრაციაც ბულგარელებისაგან შესდგებაო.

სერბეთის ჯარი მთაშავეთში

გერმანულ გაზეთების ცნობით, მთაშავეთში გადასულა სერბიელთა 75 ათასი ჯარისკაცი.

ავსტ.-გერმანელები რუშჩუკში

„მორნინგ პოსტის“ ცნობით, რუშჩუკში ამ დღეებში მივა 50,000 ავსტ.-გერმანელთა ჯარი. მათთვის ბინები უკვე მზად არის. ცხენოსანი ჯარი, ზარბაზნები და საომარი მასალა უკვე მიღებულია. რუშჩუკის მახლობლად ოსმალეთის ჯარია დაბანაკებული.

ოსმალეთის ჯარი.

ოსმალეთის ჯარი თრაკიაში სდგას ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვრის ახლოს, რადგან ბულგარეთს ჯერ კიდევ ნება არ დაურთავია თავის ტერიტორიაზე გადმოატაროს. ბულგარეთი ნებას დართავს, უკე თუ უკიდურესი საჭიროება შეიქმნა.

გერმანელები არ სცხრებიან.

კონსტანტინეპოლის მახლობელ სადგურზე დიდი მოძრაობაა. აქედან გერმანელების დიდძალი ჯარი მცირე აზიაში გადაჰყავთ, სადაც განზრახული აქვთ სტრატეგიულ მოძრაობისათვის ხელსაყრელი რკინის გზა, რომელსაც კავშირი ექნება კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის მომქმედ ჯართან. ამ სადგურიდანვე აუარებელი გერმანელი აფიცერი არაბეთს გაემგზავრა, რათა ეგვიპტის საზღვრებთან მცხოვრები არაბნი დარაზმონ. თან წაიღეს დიდძალი იარაღი.

ზავის გარშემო.

უნგრეთის პალატაში გრაფმა ანდრაშიმ განაცხადა: „ჩვენი ადამიანური მოვალეობაა, ზავი ჩამოვაგდოთ პირველსავე შესაძლებელ დროს. თუმცა დარწმუნებული ვარ ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში, მაგრამ მე მაინც ჩვენთვის სამჯობისად ჩავსთვლი, უკეთუ დღესვე მოხდება შერიგება. მიუხედავათ იმისა, მე თუ დღესვე არ გამოვდივარ სეპარატიულ ზავის მომხრედ, ეს იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ პირველ შემთხვევისათანავე ჩვენი ჯარი ხმალს ქარქაშში ჩააგებს. ამის გარდა მე თავს მაკავებინებს ის გარემოება, რომ ჩვენს მოწინაალმდეგეთა ბანაკში ზავის ჩამოვდების სურვილის ნიშანს ვერა ვხედავ; პირიქით მოწინააღმდეგე ყოველ ძალას ხმარობს ომი თავის სასარგებლოდ დააგვირგვინოს. ასეთ მდგომარეობაში საფრანგეთის პრემიერ მინისტრის განცხადება და ინგლისის მინისტრის სიტყვები არავითარ ზავის საბუთს არ იძლევაო.

რუსეთის ასპარეზი

დვინსკის გარშემო.

გერმანელების 6 ჰაეროპლანმა დვინსკის სადგურს ყუმბარები დაუშინა, მაგრამ ვერ დააზიანეს. დვინსკის მიდამოებში გერმანელები დიდს მზადებაში არიან. აქ დიდძალი მძიმე ზარბაზენბი მოაქვთ და ყოველ დღე ახალ-ახალი ჯარი მოჰყავთ.

აქ გერმანელები დიდი ბრძოლისათვის ემზადებიან.

სპარსეთი.

მოსალოდნელი შეტაკება.

სპარსეთის პოლიტიკურ წრეების გადმოცემით ქამადანში სპარსელებს ბრძოლა არ გაუმართავთ რუსების ჯარისათვის, არამედ ქალაქი უბრძოლველად დაუტოვებიათ იმ მიზნით, რომ ძალები არ დაექსაქსა დ დაეცადნა მაშველად გამომგზავრებულ ოსმალთა და ჯარისთვის. აჯანყებულ სპარსელთა ოსმალეთის ჯარის შეერთება მოხდება ქერმანშაჰში, სადაც მოსალოდნელია მკაცრი შეტაკება რუსებისა და სპარს-ოსმალებისაო.

უკანასკნელი ფოსტა

საფრანგეთის ფრონტზე.

გაზეთების ცნობით საფრანგეთის ფრონტზე დიდძალი გერმანელი ჯარი გადაჰყავთ. როგორც ეტყობა გერმანელები დიდის იერიშებისთვის ემზადებიან. აღნიშნულია აგრეთვე ის ცნობაც, რომ არა თუ აწმყოში, მომავალშიაც გერმანელები ამას ვერ შესძლებენო.

ფულის მაზანდა.

ლიბავასა და მიტავაში ქაღალდის ფული აღარ არის ხმარებაში და მის მაგიერ გერმანულ ფულს ამუშავებენ. გერმანული მარკა 66 კაპეიკად გადის. (უწინ 47 კაპ.)

საბერძნეთის გარშემო.

საბერძნეთში ავსტრო-გერმანელების ჯარის შესვლას ორი კვირის შემდეგ მოელიან. სკულუდისს განუცხადებია, უკეთუ ბულგარები საბერძნეთის ტერიტორიაში შემოიჭრებიან, საბერძნეთი ბულგარეთს ომს გამოუცხადებსო.

6 იანვრის შემდეგ.

ამბობენ, გერმანელები საბერძნეთში მოქმედებას 6 იანვრის შემდეგ დაიწყებენ, რადგან ამ ჟამად არ უნდათ საბერძნეთის მაკედონიაში არჩევნებს ხელი შეუშალონო.

საბერძნეთის ელჩის განცხადება.

საბერძნეთის ელჩს გერმანეთის ელჩი უნახავს და მოუხსენებია, საბერძნეთის ჯარში უკმაყოფილებას იწვევს ბულგარების ჯარის ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსხმაო. ბულგარეთის ჯარს ბრძანება მისვლია საბერძნეთის საზღვრიდან უკან დაიწიოს.

ოსმალეთში ეზიდებიან.

ბულგარეთის დუნაის პორტებში გერმანელთა აუარებელ ჯარს თავს უყრიან და საომარ მასალას მიეზიდებიანო. ჯარიც და საომარი მასალაც ოსმალეთისთვის არის დანიშნულიო.

საფრანგეთის საომარი ხარჯი.

საფრანგეთს 17 თვის განმავლობაში დაუხარჯავს სულ 31 მილიარდი. მხოლოდ ომს შთაუნთქავს 24 მილიარდი და 347 მილიონი. საფრანგეთი ყოველ თვიურად ომის საჭიროებისათვის ჰხარჯავს 1 მილიარდსა და 427 მილიონს.

გერმანეთის ახალი სესხი.

გერმანეთი ახალ სესხს იღებს 10 მილიარდ მარკას. ამ სესხის აღებას რეიხსტაგში მიემხრო 65 სოც.-დემოკრატი დეპუტატი, 41 წინააღმდეგი იყო.

— ავსტრო-უნგრეთის რკინის გზებზე სახალხო მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. ბალკანეთის კუნძულიდან გადაჰყავთ ჯარი.

— საბერძნეთის საზღვრიდან საფრანგეთის ჯარის უკუ დახევა აღარ სწამთ. იწვის ქალაქი გევგელი.

ბრძოლის ველზე

საბერძნეთის ასპარეზი.

სერბეთის ასპარეზი მორჩომილია: მთელი ქვეყანა დაპყრობილია. მაგრამ ამ ასპარეზს შედარებით ნაკლების მარცხით ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო ჯარი გადაურჩა. რიცხვით არც თუ დიდია იგი, სულ რაღაც 117 ათას ჯარისკაცისაგან შესდგება, მაგრამ მას აქვს ხელშეუხებელი სამხედრო ჯანი და განუწყვეტლივ ემატება მცირე-მცირეთახალ-ახალი ჯარი, ხოლო თუ სამხედრო გატაცების პსიხზიმა ინგლის-საფრანგეთის მთავარ შტაბებს სალი ანგარიშიანობის უნარი გაუქრო, შესაძლებელია, სალონიკის საექსპედიციო ჯარი ერთი ორად და სამად გაიზარდოს. სულ სხვა საკითხია თუნდაც გასამკეცებული, ბოლოს და ბოლოს იგი გახდება რასმეს თუ არა. ჩვენ გვაინტერესებს აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარს შეძლება აქვს გაიზარდოს, გადიდდეს და მეტი ხიფათის მომღები ღირებულება შეიმატოს მოპირდაპირე-ბულგარ-გერმანელთა ჯარის მიმართ.

საბერძნეთის ასპარეზის მომავალი პერსპექტივების გასათვალისწინებლად, ეს მოსაზრება მთავარ ბაზად უნდა დავიდოთ.

ინგლის-საფრანგეთის ჯარი თვისი დღევანდელი ძალით უძლური აღმოჩნდა მოპირდაპირეთ გამკლავებოდა

მოპირდაპირემ, რომელსაც სულ ცოტა 350000 ჯარისკაცისაგან შემდგარი ჯარი ჰყავს, ზედ საბერძნეთის საზღვრამდე მისდია და იქ შეაჩერა საერთო მასიური შემოტევა. მას აქეთ სულ რაღაც ხუთიოდე დღეა. ხუთი-ექვსი დღე ჩვეულებრივი სასვენი ვადაა ჯარისთვის, რომელსაც მკაცრი ბრძოლა გადაუხდია და მოუთავებია განსაზღვრულ გეოგრაფიულსა და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურს გარემოში და რომელიც ემზადება სხვა ქვეყანაში და სხვა პირობებში ბრძოლის გადატანას. და აი ამ დროებითმა შესვენებამ შექმნა ილიუზია, თითქოს ბულგარეთის ჯარი ეკრძალვიდეს საბერძნეთთან დადებულ ხელშეკრულებას და საზღვრის გადალახვა არა სურდეს.

დროს მოიგებს, მაშველი ჯარი მოემატება, მდგომარეობა საუკეთესოდ შეიცვლება და ინგლის-საფრანგეთ-სერბეთის ჯარი უკვე გამარჯვების მეტის შანსით ბულგარების წინააღმდეგ საერთო შემოტევას დაადგება! მაგრამ ცუდი იმედია, როდესაც შენს შველას მტრის წინასწარნავულევებ მიუხვედრელობასა და არა გამჭრიახობაზე აფუძნებ. ეს იმედი-ტყუილი იმედია. იგი ეწინააღმდეგება საგანთა და გარემოებათა უძლეველ ლოღიკას. და წინააღმდეგ საფრანგეთ-ინგლის-რუსეთის პრესის თითქმის ხმაშეწყობილი პროგნოზისა, ვამბობთ რომ ბულგარეთი მორჩება თუ არა თავის ჯარის ჩათვალიერებას, განაახლებს საერთო იერიშს და საბერძნეთის ტერიტორიაზედ ბრძოლას გადაიტანს. სამხრეთ მაკედონიაში ინგლის-საფრანგეთის ჯარის პირის-პირ მდგომ 350 ჯარიდან, სამას ათას ჯარის კაცს ბულგარები შეადგენენ. მხოლოდ ორმოცი ათასი ავსტრიელი უნდა ერიოს, თუ მართალია ფრანგული წყაროების ცნობები. ბულგარეთის ჯარმა მტრის დადევნებაზე რომ ხელი აიღოს, ვინღა უნდა იბრძოლოს ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო ჯარის წინააღმდეგ. არავითარ ანგარიში არაა, სამას-ათასი ბულგარები სხვაგან წაიყვანონ და მათ ნაცვლად გერმანელები ან სხვები ჩამოიყვანონ. და ლოდინიც, ჯარის ეროვნული შემადგენლობის მხრივ, არაფერს შეცვლის. ხოლო საბოლოო მიზნის, გამარჯვების, მხრივ ყოველი ერთი დაგვიანებული დღე ინგლის-საფრანგეთის გაძლიერებას იწვევს და რაც უფრო მეტი იქნება დაგვიანებული დღე და სამხედრო აქტიური უმოქმედობა ბულგარეთის მხრივ, მით უფრო საზარალო პირობებში გაიმართება ბრძოლა ბულგარეთისათვის; გამარჯვების შანსები დაიკლებს და დადგება ისეთი დროც რომ გამარჯვების შანსი სრულიად დაეკარგება, თუ სერბეთ-საბერძნეთის საზღვარზე არსებული ჯართა დგომის სტატუს-კვო დარჩა და გამართლდა ის იმედი, რომელსაც იზიარებს მოკავშირეთა პრესა ამ უკანასკნელ დღეებში. ამ ნაირად ბულგარეთმა უნდა უბრძოლველად წააგოს ყოველივე ის რაც აქამდე სისხლით დაუპყრია, რაც ძალა და კაცი შეულევია სერბეთის დასაპყრობათ, ეს იქნებოდა ყოვლად გაუგებარი, უაზრობა და აბსურდი. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ბულგარეთი ზედმეტ დროს არ დაკარგავს, იგი შემოუტევს ინგლის-საფრანგეთის ჯარს, არ დააცლის მაშველი ძალა შეიმატოს, მოღონიერდეს, უკეთ მოეწყოს, მედგრად გამაგრდეს. ამას მოითხოვს ბულგარეთის იარაღის ასხმის raison d' être. სერბეთის ასპარეზის შემდეგ; შეიქმნება საბერძნეთის ასპარეზი რომელიც პირველის ბუნებრივი გაგრძელებაა და სადაც უნდა გაითამაშონ ბალკანეთის ტრაღედიის უკანასკნელი სცენა. ვგონებთ რომ ბულგარეთმა უკვე გადალახა საბერძნეთის საზღვრები, რადგანაც თანახმად გერმანეთის ოფიციალი ცნობისა, ბულგარებმა დაიჭირეს დოირანი, რომელიც საბერძნეთის ტერიტორიაზეა.

——

რუსეთ-გერმანეთისა და კავკასიის ასპარეზზე თითო-ოროლა სრულიად უმნიშვნელო შეტაკებაა აღნიშნული, მთავარ-შტაბის ოფიციალ დეპეშაში.

მეგრი.

ომის გარშემო

კარგა ხანია ვამბობდით, სადღაც ახალ შემოტევას უნდა ველოდებოდეთ გერმანელებისას და ვასახელებდით, რომ გერმანეთი სადღაც ახალ შეჯგუფებას ახდენს ჯარებისას და შეიძლება იმ ადგილებისაკენ მოახდინოს ახალი შეტაკებანი, სადაც ჯერ არ ყოფილა, მაგრამ სურს ესა თუ ის სახელმწიფო ჩაითრიოს ომში და იმას მიუახლოვოს ომის ასპარეზი. ვამბობდით რომ ეს ახალი ასპარეზი უნდა იქნეს ან სპარსეთის, ან რუმინეთი ან უკიდურეს ჩრდილოეთისაკენ, შვეციისაკენ. რუსეთის და საზღვარ გარეთის გაზეთებიც გამოსთქვავენ იმ აზრს, თითქოს გერმანეთი ჯარებს აგროვებდეს დასავლეთის ასპარეზზე და იქ ფიქრობდეს გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას. ამისი წინააღმდეგნი ვიყავით მაშინ და ეხლაც გერმანეთი ყოველ შემთხვევაში ეხლა დიდს სერიოზულ ბრძოლას არ დაიწყებს დასავლეთის ასპარეზზე ევროპაში, რადგანაც აქ ადგილი ორთავე მოპირდაპირეს თითქმის მიუვალ ციხე სიმაგრებად აქვთ ნაქცევი და მოპირდაპირის დასამარცხებლად უთვალავი მსხვერპლია საჭირო. ისიც საეჭვოა ამ მსხვერპლითაც მიახწევს მიზანს თუ არა, რადგანაც დასავლეთის ასპარეზზე გერმანეთს დასჭირდება არა მარტო ჯარების დამარცხება, არამედ თითეულ პიროვნებასთან ბრძოლა. საფრანგეთ-ინგლისში დიდი და პატარა გაჟღენთილია მტრის გამკლავების სურვილით და, პაშიჩის ისტორიული სიტყვების არ იყოს, ყველანი გერმანეთის დამორჩილებას სიკვდილს არჩევენ. ამიტომ ასეთს ძლიერი მტრის და ურიცხვი მოპირდაპირის წინააღმდეგ ბრძოლას გერმანეთი არჩევს ბრძოლას იქ, სადაც ქომაგსაც იშოვნის, ცოტა ძალასაც დახარჯავს და დიდს საქმესაც გააკეთებს. ასეთებია გერმანეთისათვის ოთხი თვალში ამოღებული მხარე: სპარსეთი, სუეცი, რუმინეთის პირი რუსეთისაკენ და ჩრდილო ნაწილი რუსეთისა შვეციისაკენ. აი ამ ადგილისაკენ უნდა ველოდეთ მომავალ ძლიერ შემოტევებს. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანეთი სხვა ასპარეზებზე ომს თავს დაანებებს ან შესწყვეტს. სრულებითაც არა. პირიქით, ბევრგან ძლიერაც გააცხოველებს დემონსტრატიულ შემოტევებს როგორც აქამდე დვინის პირზე, რიგის მიდამოებში და ჩარტორისკის მახლობლად იქცეოდა. აგრეთვე მოიქცევა დასავლეთის ასპარეზზედაც. იქ ყველას მოაჩვენებს, თითქოს სერიოზულ ომს ეპირება და ამ ნაირად მიიქცევს ძალა უნებლიეთ მოპირდაპირის ყურადღებას, რომ დიდი ძალები დააბანდოს ამა თუ იმ ადგილას.

დღეს უკვე ცხადია, სპარსეთიც აამხედრა, ისე იქცევა თითქოს მათემატიკურად ჰქონდეს გამონაგარიშებული ყოველი ფეხის გადადგმა. აქამდე ამზადა სპარსეთი, შეაიარაღა, ან სხვისი იარაღებით ისარგებლა. მოიკრიბა ძალები და თანდათან იმის და გვარად თუ რამდენად არის საჭირო იქ აქტივობის გამოჩენა ისე იქცევა. ჯერ იყო და ქვემო სპარსეთში ინგლისის ჯარები შემოიტყუა. დიდი მანძილი დასტოვა და დამარცხებულმა უკან ახევია ოსმალეთის ჯარებს. ამითი რუსეთიც წააქეზა, შუაგულისაკენ ჯარების წამოწევაში და აღუძრა სურვილები რუსეთ-ინგლისის ჯარების შეერთებისა—როცა რუსეთში სერიოზულ ჯარებს მოუყარეს თავი და სამხრეთისაკენ იწყეს წაწევა, შაჰის და მისი მთავრობის პირით დიდი ხნით შეაჩერა, მინამ მთელი თავისი ძალები არ გაიყვანა სამშვიდობოს და ტყვია-წამალი და იარაღი არ მოაქცია იქ, სადაც საჭირო იყო. ამავ დროს ოსმალეთიდან გზები შეაკეთა და ჯარები მიუსია შორს შემოსულს ინგლისს. უკანასკნელები საშინლად დაამარცხა და უკანვე დაახევინა, მაგრამ არც ისე, რომ წყალში ჩაეყარა და თვითაც დიდი ომის პირი დარჩენოდა. ინგლისმა უსათუოდ თავისი ახალშენების დასაცავად და სპარსეთში გავლენის შესანარჩუნებლად უთუოდ უნდა კვლავ მაშველი ჯარები მოიყვანოს და ამით შეასუსტოს დარდანელის, სუეცის, სერბეთის და სხვა ბრძოლის პირი. რუსეთის ჯარი ეხლა, ბევრიც რომ ეცადოს, ინგლისის ჯარს უგზო-უკვლო სპარსეთში 3 თვესაც ვერ მიაღწევს. მაგრამ ამ წინსვლას საშინელს წინააღმდეგობას გაუწევს ოსმალეთი და შეეცდება მთელი რუსეთის ძალები მოსჭრას ცენტრალ ბაზას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ამ ნაირი ქცევით სპარსეთის მცხოვრებლებსაც და მთავრობასაც აჩვენებს, რომ რუსეთი და ინგლისი მიდი მოდიან მის სახელმწიფოში მისი სურვილების წინააღმდეგ და ქომაგათ გამოიყვანს მხოლოდ თავიანთ თავს ე. ი. ოსმალეთს, გერმანეთს და სხვა მათ მოკავშირეებს. ინგლისის დამარცხება დიდი ზნეობრივი გამარჯვებაა ოსმალეთ გერმანეთის, სპარსეთში. გერმანეთ ოსმალეთი არ დაზოგავენ თავს და, როცა საჭიროდ დაინახავენ, შეეტაკებიან რუსეთის ჯარებსაც. დღეს კი, როგორც მოწოდებული ცნობებიდან სჩანს, ოსმალეთ-გერმანელნი და მათი მომხრე სპარსეთის ჯარები უკან იხევენ და სერიოზულ გამკლავებას არ ფიქრობენ, ალბად მინამ რუსები რომელიმე განსაზღვრულ ადგილზე არ მივლენ.

როცა რუსები განსაზღვრულ ადგილზე მივლენ მოხდება ძლიერი შეტაკება და **სპარსეთის** გადაჭრილ პოზიციას დაიჭერს, ან პასიურ **დიპლომატიურ ნეიტრალობისას** და ფაქტიურ გერმანეთის მიმხრობისას, როგორც საბერძნეთი სჩადის დღეს. ან და ცხადად გადავა, როგორც მთავრობა აგრეთვე ჯარები და ხალხიც გერმანეთის მხარეს. ისე როგორც ამას გერმანეთი დაინახავს უმჯობესად. მაგრამ გერმანეთს, სპარსეთის ექსპედიცია გარდა მატერიალ მორალ ძალებისას, დიდ ფიზიკურ ძალას არ მოსთხოვს და ჯარები თავისუფალი რჩება, და საქმე ისაა თუ სად წაიყვანს ამ თავისუფალ ძალას. ალბად რუსეთის სამხრეთისაკენ, სახელდობრ რუმინეთის მხრით, ამით, ჩრდილოეთის მხრის შესუსტებას გამოიწვევს და რუსეთის გალაშქრებას სპარსეთისაკენ ხელს შეუშლის. თუ მოახერხა რუმინეთის ან ნეტრალობის ფარგალში მოქცევა ან მთლად გადაბირება, რუმინეთ-ოსმალეთ-ბულგარეთ-ავსტრიის ძალებს მიუსევს სამხრეთ რუსეთს, ხოლო თავისუფალი ჯარებით მიადგება ჩრდილოეთს და შეეცდება შვეციის ჩათრევას, რომ რუსეთი იძულებული გახადოს ზავი ჩამოაგდოს. ასეთი გეგმა გერმანეთის მოქმედებისა ყოველ ნაბიჯებიდან გამოსჩანს. არა ნაკლებს ზრუნვის საგანს გერმანეთისას წარმოადგენს როგორმე იაპონიის საქმეების გახლართვა და მოკავშირეთა შორის არეულობის გამოწვევა.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთმა თავის მოკავშირეებთან თუმცა შორეული, მაგრამ შედარებითი გზა გაიხსნა და ამ მხრივ დიდს საშუალებას და ვალდებულებას ასრულებს იაპონია. იაპონია რომ არ ეხმარებოდეს შეთანხმების სახელმწიფოებს, შეიძლება რომელიმე მათგანი იძულებულიც გამხდარიყო ზავი ეთხოვნა. მაგრამ იაპონია-ამერიკის დახმარებამ იხსნა გაჭირვებისაგან რუსეთი და ამითი სხვა მისი მოკავშირენიც. ამიტომ დარდანელის გაუხსნელად შესაძლებელი გახდა მოკავშირეთა ურთიერთ შორის მიმოსვლა და საომარი იარაღის მიწოდება.

ამ გარემოებას არ შეიძლება გერმანეთმა ანგარიში არ გაუწიოს. ამიტომაცაა, რომ გერმანეთი ცდილობს მოკავშირეთა და იაპონიის შუა რაიმე უთანხმოება ჩამოაგდოს. ამას უფრო ადვილად მიახწევს ჩინეთის შემწეობით, სადაც ყველა ევროპიელებს და იაპონიას დიდი ინტერესები აქვთ.

ჩინეთი ყველაზე მეტად ენდობა გერმანეთს და უკანასკნელიც ცდილობს ჩინეთი დაიკავშიროს, თავის სასარგებლოდ აამოძრაოს. გერმანეთმა თითქმის მიახწია კიდეც იმას, რომ იაპონიასთან ჩინეთის განწყობილება გაამწვავა. იგი სცდილობს რუსეთთან დამოკიდებულებაც გაამწვავოს. სცდილობს აგრეთვე იაპონიისა და რუსეთის ინტერესები შეაჯახოს ჩინეთში ერთმანეთს და მეგობრებში შუღლი ჩამოაგდოს. გერმანეთის სადღეისო მიზანია, მანჯურია-ჩინეთის გზა ხიფათში ჩააგდოს და საშიშარი ჰყოს იქიდან ციმბირის რკინის გზით მისვლა-მოსვლა.

გ. გ.

თბილისი, 9 ქრისტეშობისთვე.

თეთრი და ლურჯ-ბილეთებიანი. საქართველო საკუთარის თვისებურობით შედის რუსეთის სახელმწიფოს ფარგალში. ყოველ დროსა და გარემოში ეს თვისებურობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და განსხვავებულ მოპყრობას სახელმწიფოს ბედის გამგებელთაგან.

ჩვენ არა გვჯერა, ადგილობრივი უმაღლესი მთავრობა გულისყურით არ მოეკიდოს ქართველი ხალხის თვისებურობას და იმ სპეციფიურ გაჭირვებას, რომელშიაც იგი ჩააგდო ამ უკანასკნელმა ორმა წელიწადმა. ხოლო ქართული პრესისა და საზოგადოებრივი აზრის მოვალეობაა მკაფიოდ და ნათლად მოხაზოს ყოველს წუთსა და გარემოში ქვეყნის მდგომარეობის თვისებურობა და იგი მორიგ და აუცილებელ საკითხად დაუსვას სადაც ჯერ არს, რომ ამით საშუალება მიეცეს ადგილობრივ მთავრობას დაამტკიცოს თვისი ყურადღება და კეთილი გონიერება, უკეთუ იგი კეთილ სურვილებით იქნება აღძრული ქვეყნის მიმდინარე ჭირ-ვარამისადმი.

ერთ ასეთ საკითხად უნდა ჩაითვალოს თეთრ და ლურჯ ბილეთებიანის გაწვევა სამხედრო მოვალეობის მოსახდელად.

ლურჯისა და თეთრი ბილეთის შემოღებას საფუძვლად უდევს სალი სახელმწიფოებრივი ზრუნვა და ერთნაირი ზნეობრივი გულშემატკივრობა უმწეო ოჯახებისადმი, რომელთაც, თუ ერთადერთი შვილი წაერთმეოდა, არ ასცდებოდა შიმშილი და უპატრონობა.

ქართველი ხალხის ხასიათში არის ერთი ძველის-ძველი ზნეობრივი თვისება, ზნეობრივი ადათი, რომელიც დედაკაცებსა და მამაკაცებს შორის ეკონომიურ საქმიანობის მტკიცე დიფერენციას ამკვიდრებს. ქართველი ქალი ყანად სამუშაოდ თავის დღეში არ გადის.

ჩვენი ეროვნული ფსიხიკა ამ მოვლენას არ იცნობს და რასაც ათას წლობით შეჰკვიდრებია, მას ერთბაშად ვერ დასძლევს და ვერ დასთმობს. დღევანდელმა ომმა მამაკაცები სულ ერთიანად გაჰკრიფა; დარჩნენ ქალები და ბავშვები. მოხუცებული მამაკაცები და აქა-იქ მყოფი თეთრი და ლურჯი ბილეთიანები ვაი-უბედურებით და ერთი მეორის დახმარების წყალობით, ჭირნახულის მოვგარების საქმეს ძლივსღა მიუძღვებიან. ესენი არიან დამშეული ქვეყნის ნუგეში და ყავარჯენი, რომლის გამოცლა მთელს ქვეყანას შიმშილისა და სენის მსხვერპლად გახდიდა.

ეს თავის თავად დიდი სახელმწიფოებრივი საკითხია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი მთავრობა ყურად იღებს ჩვენი ქვეყნის სპეციფიურ მომენტების მთელ ჯამს და შეეცდება რომ ქვეყანას არ წაერთვას მისი გამომკვები უკანასკნელი მუშა ხელი, რომ მას არ გამოეცალოს ერთად-ერთი ყავარჯენი ამ ზღვა უბედურებაში.

რუსული პრესა

მცირე ხნობით ომის გამო მიყუჩებულმა მემარჯვენე პარტიების პოლიტიკურმა ავანტიურამ ამ ბოლო დროს ისევ იჩინა თავი და როგორც მოსალოდნელი იყო მთელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება აახმაურა და ააჩოჩქოლა. სამშობლოს განსაცდელში ყოფნამ შავრაზმელები ჭკუაზედ ვერ მოიყვანა. მათ ძველებურად ამოჰყვეს თავი და იერიში იერიშზედ მიიტანეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხელში ჩასაგდებად. იბრძვიან მემარჯვენეები, მაგრამ, ვინ არ იცის, თუ რა საშუალებას მიჰმართავენ ხოლმე ეს ვაჟბატონები, თავიანთ ინტერესებს განსახორციელებლად. დაბეზღება და ცილისწამება,—აი მათი პოლიტიკური იარაღი. მათ თავიანთ ყრილობაც ნიჟნინოვგოროდში ცილისწამებითვე დაიწყეს. თვალში ამოიღეს უპირველესად ისეთი საზოგადო დაწესებულებები, როგორიც არის მთელი რუსეთის საერობო და ქალაქების კავშირი. ბრალსა სდებენ ამ კავშირს შავრაზმელები იმაში, ვითომ აქ გამეფებული იყოს ქურდობა და მექრთამეობა. მთავარი მათი მიზანი ყველას კარგად ესმით: შავრაზმელებს ჰსურთ ასეთი ხმებით სახელი გაუტეხონ ხალხში ამ კავშირს და ბოლოს გააუქმებინონ კიდევაც, ვისაც ძალუძს. ყრილობის შემდეგ ეს ცილისწამება სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში იქმნა გადატანილი. აქაც მათი მეთაურნი განაგრძობენ ყალბი ცნობების გავრცელებას. რუსეთის პრესაც ჯეროვან ყურადღებას აქცევს მემარჯვენეთა ამ არა საპატიო საქციელს. გაზ. „დენ"-ს კარგად ესმის, რაც ჰსურთ შავრაზმელებს და ამბობს:

> თითქმის ორ თვეზედ მეტია, რაც შავრაზმელები კამპანიას შეუდგნენ. აქეთ-იქით დარბოდენ, ჩურჩულებდენ და მასალებს აგროვებდენ. ახლა მხოლოდ ბირჟული თამაში გაიმართა. მათ სურთ ასწიონ გაბათილებული შავრაზმელთა პოლიტიკური კურსი და დასცენ ნდობა საერობო და საქალაქო კავშირისა. ყველამ კარგად იცის, რომ ეს კავშირი დიდი ხანია ძილს უფრთხობთ იმ სამშობლოს დამცველთ, რომელთაც საკმაოდ კარგად დაამტკიცეს თავიანთ გულშემატკივრობა და გულწრფელობა. შავრაზმელების კამპანიის მთავარი მიზანია, ერთის მხრით დაუმტკიცონ მთავრობას, რომ კავშირი რუსეთში რევოლიუციააო, მეორე მხრივ კიდევ სცდილობენ სისხლის სამართალში მისცენ ბევრი ამ კავშირში მომუშავე ცნობილი პირები და ამ გზით სამუდამოდ სახელი გაუტეხონ დაწესებულებას. კომისიაში მათ ღირსეული პასუხიც მიიღეს. ზამისლოვსკის და კარპოვიჩის განზრახვამ რომ კომისიას დაედასტურებინა მათი ცილისწამება, მუქთად ჩაუარათ. სახელმწიფო კანტროლის ყველა წარმომადგენელებმა ერთხმად განუცხადეს, რომ საერობო და საქალაქო კავშირები ყოველთვის მზად არიან გადუშალონ დავთრები მთავრობის კანტროლს და მასთანვე თვითონ ხელს უწყობენ რევიზიას.

შემდეგ გაზეთი მოითხოვს, თვით მემარჯვენეთა ორგანიზაციებს გაუკეთონ რევიზია. ისეთი დაწესებულებები, როგორც არის მთელი რუსეთის აზნაურთა ორგანიზაცია აქნობამდის კანტროლის გარეშე სდგას.

მათ გული იმიტომ მოსდით, ამბობს გაზეთი „დენ"-ი, რომ ამ ორგანიზაციებს არ ძალუძს ქიშპობა გაუწიონ კავშირებს და საზოგადოების თვალში

მათზე მეტი ყურადღება დაიმსახურო
[illegible] კომისიაში მემა
[illegible] მათთვის არა ს
სიამოვნო საქმის მოგონება გამოიწვი
მათ მიუთითეს, რატომ აქნობამდი
დამთავრებული არ არის რუსეთ-იაპო
ნიის ომის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლ
შესახებ, უკვე თერთმეტი წელიწად
რაც მუშაობა დაწყებულია და დღე
დის კი არაფერი გაკეთებულა.

ახალი ამბავი

◆ **ქალაქის ხმოსანთა არჩევნებ
მონაწილეობის უფლებას დაჰკარგავ
ის მესაკუთრე, რომელიც ამ თვ
15 რიცხვამდე არ გაისტუმრებს მ
მამულზე დარჩენილ ქალაქის ვალ**

◆ **ქუთაისის სემინარიის გამო.** ბ
პ. ა. გოთუას შემდეგი შინაარსის დ
პეშა მოუვიდა მიტროპოლიტის პიტ
რიმისაგან: გულწრფელი სიხარული
გაუწყებთ, რომ სინოდის დადგენილ
ბით აღდგენილ იქმნა ქუთაისის სე
ნარია. სულით და გულით ვისურვე
რომ ამ სასწავლებელმა აღზარდ
ჭეშმარიტ ქრისტიანულ განათლებ
გამავრცელებელნი, ხელმწიფე იმპერა
ტორისა და მამულის ერთგულნი შვილ
ნი, რომელნიც დაიცავენ ჯვაროსა
ივერიის ანდერძს.

◆ **შიმშილობა.** თბილისის გუბერ
ნატორმა აუწყა ქალაქის მოურავს, რო
ახალციხესა და ბორჯომის ხეობაშ
დამშეულია ხალხი და სთხოვა, 4 ვ
გონი ფქვილი გაგზავნოს დაუყოვნებ
ლივ ახალციხისათვის ბორჯომის რკი
ნის გზის სადგურში, ხოლო ბორჯომი
ხეობისათვის 2 ვაგონი გაუგზავნო
„ზემო ქართლის" ამხანაგობას.

◆ **ფქვილი გამოქცეულთათვის**
ბორჩალოს მაზრის უფროსმა შუა
მდგომლობა აღძრა თბილისის გუბერ
ნატორის წინაშე, რათა მიეცეს სამაზ
რო კომიტეტს 3 ათასი მანეთი ფქვი
ლის შესაძენათ.

◆ **გუბერნატორის დანიშვნა.** ერევ
ნის გუბერნატორის ბ. ტიზენგაუზენი
ნაცვლად რომელიც სამსახურიდან გა
ვიდა დანიშნულ იქმნა განჯის ვიც
გუბერნატორი სტრელბიცკი.

◆ **თბილისის გუბერნატორი,** ბ
სტრახოვსკი, როგორც ხმები დადი
სამსახურს თავს ანებებს.

◆ **თავად-აზნაურთა ბანკის** შენობ
გარედან სულ მთლად დამთავრდა დ
ხარაჩოები მოხსნეს. ბანკს მშვენიერ
სახე აქვს მიცემული ძველ ქართულ
სტილის ჩუქურთმა-არშიებით. შენობი
ერთ გვერდზე გამოქანდაკებულია ქვა
ზე საუცხოვო სურათი დავით აღმაშე
ნებელისა. შენობის შიგნითა სამუშაო
მოწყობაც მოკლე ხანში იქნება დამ
თავრებული. ბანკის ზევითა სართულ
ში იქმნება მოთავსებული თავად
აზნაურთა სადეპუტატო საკრებულო.

◆ **კერძო გიმნაზია.** მეფის ნაცვა
ლმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკო
ლოზის-ძემ კეთილ ინება შუამდგომ
ლობის შეწყნარება ს. არღუთაშვილი
მხარგძლისათვის კერძო სასწავლებლი
ქალთა კერძო გიმნაზიად გადაკეთები
შესახებ ქ. ტფილისში.

◆ **სიღნაღის საფოსტო სადგურზე**
თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის ოლქი
უფროსის განკარგულებისა გამრავლე
ბულ იქმნა, როგორც დასაჯდომთა
ისე ცხენოსნების რიცხვი მოძრაობი
გადიდებისა გამო ამ გზაზედ.

◆ **ფუნიკულერის მოძრაობა.** კა
ამინდების გამო განახლდა. მოძრაობ
სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათამდე

◆ **საჩუქრები ჯარისკაცთათვის**
ქალაქის კავშირთა ბიურომ გამოუგზა
ვნეს ჯარისკაცთა საჩუქრებისათვის
თბილისის საკრედიტო საზოგადოებამ
318 მან., კომერციულ ბანკის მოსამსა
ხურეებმა 100 მან., სათავად-აზნაურო
ბანკის მოსამსახურეებმა 100 მან., ბა
ქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭო
30,000 მან. და გროზნოს ნავთის მწარ
მოებელთა კრებამ 10,000 მან.

◆ **სსმხედრო ტყვეების საყურად
ღებოდ.** თბილისის გუბერნატორმა ნე
ბა დართო სამხედრო ტყვეების მზრუ
ნავ კომისიას შაურიანი გადასახად
დააწესოს ქ. თბილისის რესტორან
სასტუმროებში ანგარიშის გასწორები
დროს.

◆ **თბილისის კოოპერატივმა** ქა
ლაქის მსახურთა ეკონომიურ საზოგა
დოებასთან შეთანხმებით ბაქოდან
150 ათას მანეთის საქონელი გამოიწე
რა 15 ვაგონით. სხვათა შორის 2 ვა
გონი ხახვი, 1 ვაგონი მაკარონი, 1 ვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონი ვერმიშელი, ბრინჯი, სპარსული გამხმარი ხილეულობა. საქონელს ამ დღეებში მიიღებენ.

ეს ფაქტი საგულისხმიეროა საზ. „მეურნეთათვის“!

◆ **აგარაკი წაღვერში.** 4 ქრისტეშობისთვეს შესდგა ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოებასთან არსებულ კომისიის სხდომა, რომელსაც აგარაკის დაარსება აქვს დავალებული, წაღვერში ქართველ მოღვაწეთათვის. ვინაიდან ეს აგარაკი ვაჟას სახელობისაა, კომისიამ დაადგინა: იმ საღამოში, რომელიც ვაჟას სახსოვრად იმართება ხარფუხის კლუბში მიიღოს მონაწილეობა მთელი შემადგენლობით, მიიწვიოს აგრეთვე ქალთა წრეც და გამოსცეს ცალკე მოწოდებანი ამ დღის მნიშვნელობის შესახებ და გარდა ამისა გამოსცეს ამ დღისთვის 3 ათასი ცალი ვაჟას სურათი (სურათს ქვეშ აგური ეხატება). ამ სურათების შემოსავალიც გადიდება ამავე აგარაკის სასარგებლოდ.

◆ **სიმინდის ტაროს საფხვნელი ხელთათმანი** კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა ბ-ნმა რუდოლფმა გამოუგზავნა ნიმუშად ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, ამერიკიდან გამოწერილი.

◆ **ხონის სახელოსნო სკოლაში.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო ცნობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსისაგან, რომ ხონის სახელოსნო სკოლაში ამზადებენ სიმინდის ჩალის საჭრელს და სიმინდის საცეხვავს (საზეგვს).

◆ **ხორცი.** ქალაქის სასაკლაოდან საყასბოებში ხორცი მოაქვთ დილდილაობით. ქალაქის გამგეობის სავაჭრო-სამრეწველო ინსპექტორმა გამგეობას მოახსენა უხერხულობა ასეთი წესისა და სთხოვა, რომ ხორცი იზიდებოდეს საყასბოებში საღამოობით, რათა ყასბებმა დროზე მოასწრონ ხორცის გასასყიდად დანაწილება.

◆ **ლოტო.** რადგან რუსეთის ბევრს კლუბებში ლოტოს თამაშმა მავნე ხასიათი მიიღო, როგორც ხმა დადის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია ზოგიერთს კლუბებში აკრძალოს ლოტოს თამაში.

◆ **ჯარიმა.** სასანიტარო დებულებათა დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ თბილისის გუბერნატორის მიერ გ. ყაზაროვი 25 მან. ან 1 თვით ციხით, ა. ბარგი 25 მან. ან 1 კვირა ციხით, ვ. აბრამაშვილი პოლიციის შეურაცხყოფისათვის 1 თვით დაპატიმრებით, მ. ბლაშჩაკი და ა. ასლანოვი 25 მან. თითოეული მათგანი ან 1 კვირის დაპატიმრებით, ს. გიუნაშვილი 25 მან. ან 2 კვირა დაპატიმრებით, დ. ცავერაშვილი და დ. ღიკაშვილი 25 მანეთით სიმთვრალისათვის ვ. ყაზაროვი 25 მან. და გ. ჩობანოვი 2 თვით დაპატიმრებით თვის ნებით დაბრუნებისა გამო გადასახლებიდან.

◆ **მოქალაქეთა რწმუნებულების კრება.** 7 ქრისტეშობისთვეს, ბ-ნ ვ. არაქელიანცის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდათ მოქალაქეთა რწმუნებულებს. კრებამ განიხილა და დაამტკიცა მოქალაქეთა გამგეობის 1916 წლის ხარჯთაღრიცხვა, რაიცა ნავარაუდევია 9,446 მან.

◆ **ახალი გაზეთი.** თბილისის გუბერნატორმა ნება დართო ავაქ მუგდუსი აკოფოვს გამოსცეს ქ. თბილისში ყოველდღიური სომხური გაზეთი „კახაფარ“.

◆ **ქუნთრუშა.** ამ ჟამად ქალაქის საავადმყოფოში მოთავსებულია 140 ქუნთრუშიანი ბავშვი. სენი თანდათან ვრცელდება. ქალაქის გამგეობას სასანიტარო-სამკურნალო განყოფილებამ შეიმუშავა ვრცელი დარიგება, რომელიც ყველა ადგილობრივ ენებზე გამოქვეყნებულ იქნება და რომლითაც მცხოვრებლებმა უნდა იხელმძღვანელონ სენის გავრცელების წინააღმდეგ.

როგორც სხვა გადამდებ სენიანთა, აგრეთვე ქუნთრუშიანთათვის ქალაქს აქვს რიგიანად მოწყობილი საავადმყოფო, სადაც ავადმყოფთ უსასყიდლოდ აწვენენ და სწამლობენ. საჭირო შემთხვევის დროს მსურველმა უნდა გამოუძახოს (ტელეფონი № 172) საქალაქო ეტლს, რომელიც უსასყიდლოდ წაიყვანს ავადმყოფს საავადმყოფოში.

◆ **ტუსაღების მუშაობა.** მევენახეობა მეღვინეობის კომიტეტმა ჩუმლაყის სანერგეში მიწის საბარავად, სატუსაღოს ადმინისტრაციის ნებართვით, 40 ტუსაღი დაიბარა მეტეხის ციხიდან.

◆ **საარჩევნო თათბირი.** კვირას, 13 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, შრომის ბირჟაში კრება ექნებათ პირველ **საპოლიციო ნაწილის ხმოსნებს და ამომრჩევლებს.**

◆ **საქველმოქმედო საზოგადოება.** 29 გიორგობისთვეს სიღნაღში შესდგა დამფუძნებელი კრება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების დასაარსებლად. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი კოტე ტყავაძე, დაესწრო 30 კაცი. განყოფილების დაარსება ერთხმად იქმნა აღიარებული. განყოფილების გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნი კ. ტყავაძე (თავმჯდომარე), თავ. ლ. ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), გ. დაფქვიაშვილი, მ. ახმეტელაშვილი და ქ-ნი მ. ვარდანაშვილი; მათ კანდიდატებად—გ. ხატისკაცი, ქ-ნი ან. მოსულიშვილისა და ქ-ნი წინამძღვრიშვილისა. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ილ. სარაჯიშვილი, ი. კრაწაშვილი და ქ-ნი ნ. ანდრონიკაშვილი; მათ კანდიდატად—ქ-ნი მარ. სიფრაშვილი.

◆ **ცხვრის ზარალი.** თბილისის გუბერნატორმა ცნობა მიიღო, რომ დიდ ცეცხლს უმსხვერპლია შირაქში 800 სული ცხვარი ვლადიმერ ჭოლიქაძისა და ხიწო გორელაშვილისა. ცხვრის ღირებულობა 8 ათას მანეთს უდრიდა.

ქუთაისი.

ასოთ-ამწყობლებთან შეუთანხმებლობის გამო გაზეთ „სამშობლოს“ გამოცემა დროებით შეჩერდა.

8 ქრისტეშობისთვეს ქალაქის საბჭომ დაადგინა ქუთაისში ლაზარეთების მოსათავსებლათ დაეთმოს ქალაქის თვითმართველობის შენობა და თვითმართველობა კი სხვა შენობაში გადაიტანოს. ქუთაისში ჯერჯერობით უნდა მოეწყოს 300 საწოლი რომლისათვისაც ერთდროულად გადადებულია 30,000 მანეთი. საწოლები უნდა მოაწყოს ქალაქის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელსაც ამ დღეებში აირჩევენ ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით.

— 8 ქრისტეშობისთვეს ქალაქის საბჭოს სხვა საქმეებთან ერთად უნდა აერჩია ქალაქის გამგეობის მეორე წევრი. არჩევნები ამ დღეს რაღაც გამოურკვეველი მიზეზების გამო ვერ შესდგა. კანდიდატის დასასახელებლად არჩეული იყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც სხდომა რამდენჯერმე ჰქონდა. კანდიდატი ამორჩეული ჰყავთ, მაგრამ თუ ვინ არის, ეს კი ჯერჯერობით საიდუმლოებით არის მოცული. ალბად შიში აქვთ, რომ პრესამ კანდიდატის შესახებ თავისი აზრი არ გამოსთქვას.

— სოფ. პატრიკეთის საზოგადოებამ დაადგინა ამ სოფელში აგრონომ ვ. კანდელაკის მეთაურობით გახსნას მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც მშრომელ ხალხს დიდ დახმარებას გაუწევს.

ბაქო.

16 ქრისტეშობისთვეს აქ რამდენიმე პოლიტიკურს საქმეს გაარჩევს თბილისის საოლქო სასამართლო.

— ბაქოს სავაჭრო პორტის უფროსი ამ დღეებში უმაღლეს მთავრობის წინაშე იშუამდგომლებს, რათა ნება დართონ, ბაქომ პეტროვსკიდან ზღვით შემოზიდოს საჭირო სურსათ-სანოვაგე.

როგორც ვიცით ამ ჟამად პეტროვსკაში რამდენიმე სურსათით დატვირთული ვაგონი სდგას, რომელიც ბაქოს ეკუთვნის, მაგრამ რკინის გზით მოტანა ვერ მოახერხა.

— 9 ქრისტეშობისთვეს აქ გამოვა ერთდროული გაზეთი რუსულ-სომხურ ენაზე სახელად „საჩუქარი“, რომლის შემოსავალი გადაიდება გამოქცეულ ობოლ ბავშვებისთვის თავშესაფარის მოსაწყობად.

ჩხენკელი იგნატიევთან

ჩხენკელმა ინახულა სახალხო განათლების მინისტრი და დაწვრილებით განუმარტა ამიერ კავკასიის საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა მდგომარეობა. 1872 წლის კანონის ძალით მასწავლებლები იღებდნენ 240 მ. ბინის ქირისთვის. 1912 წლის კანონის შემდეგ მასწავლებლები კვლავინდებურად იღებდნენ ამ ფულს. 1915 წელს კი ოლქის მზრუნველმა, თბილისის საკონტროლო პალატის მოხსენების მიხედვით, საჭიროდ სცნო მოესპო მასწავლებელთათვის ბინის ფული. გარდა ამისა თვიურ ჯამაგირიდან ყოველ მასწავლებელს 25 მ. უჭერდნენ და ამით ანაზღაურებდნენ იმ ფულს ბინისას, რომელსაც მასწავლებლები იღებდნენ 1912 წლიდან 1914 წლამდი. მინისტრი დაჰპირდა ჩხენკელს, რომ დაწვრილებით გამოიძიებს ამ საკითხს და შემდეგ მიიღებს შესაფერს ზომებს. რაც შეეხება ჯამაგირიდან 25 მან. დაჭერას მინისტრმა ეს უკანონოდ სცნო და უთხრა ჩხენკელს, რომ დაუყოვნებლივ მოახდენს განკარგულებას ამის მოსასპობად.

ფილოქსერა კახეთში

მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს საგულისხმიერო ცნობები აქვს შეკრებილი ფილოქსერის გავრცელების შესახებ კახეთში. როგორც ეს ცნობები გვიჩვენებს, 1912 და 1913 წლების გამორკვევამ აღმოაჩინა შედარებით ძველი ბუდე ფილოქსერისა სოფ. ახმეტაში 3 დესეტინა ვენახში, კურდღელაურში 8 დესეტინა, ვარდისუბანში 7 ნახ. დესეტინა, $^{3}/_{4}$ დესეტინა, ზემო ხოდაშენში 1 დესეტინა, ვეჯინში 2 ნახ. დესეტინა და თელავში $16^{1}/_{3}$ დესეტინა. შედარებით ახალი ბუდე ფილოქსერისა იმავე წლებში აღმოჩნდა ქისტაურსა, გულგულასა, იყალთოსა და წინანდალში.

დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ ფილოქსერა ერთობ ჩქარა ვრცელდება ბუნებრივად, 2 წლის განმავლობაში ერთი სამად გადიდდა ფილოქსერის ბუდე. ამასთანავე გამოირკვა, რომ კახურ ჯიშთა შორის ფილოქსერისაგან ადრე იღუპება საფერავი; რქაწითელი უფრო უძლებს ავადმყოფობას. ის ვენახები, რომელთაც ფილოქსერა აღმოაჩნდა 1912 წელს, ამ ჟამად ნახევრად მოსპობილია. ფილოქსერის ასე გავრცელებას, სხვათა შორის, ისიც ხელს უწყობდა, რომ ალაზნის მარჯვენა მხარეს ვენახები არ ირწყვის. ფილოქსერის ბუნებრივად გავრცელებაზე უფრო საშიშია მისი ხელოვნურად გავრცელება, რის წინააღმდეგ მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი თავისს ინსტრუქტორთა დახმარებით ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს. მაგრამ საუკეთესო და ერთად-ერთ არსებით საშუალებად ფილოქსერის წინააღმდეგ ცნობილია ამერიკულ ძირებზე ადგილობრივ ჯიშის დამყნა. კომიტეტმაც ამ საშუალებას მიმართა და ამ მიზნისათვის გააშენა სანერგე კონდოლში და აშენებს ეხლა ჩუმლაყში. ის მემამულენიც კი, რომელთაც არ სჯეროდათ ვენახების მოსპობა ფილოქსერისაგან, ბევრ დამყნილ ვაზებს სთხოვენ კომიტეტს. საერთოდ ასეთი ვაზების მოთხოვნილება დიდია და კომიტეტს გაუჭირდება ყველას დაკმაყოფილება, საზოგადო ორგანიზაციებიც თუ არ მიეშველნენ მას, როგორც, მაგალითად, ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, რომელიც უკვე შეუდგა სანერგის გაშენებას იყალთოში და აგრეთვე კერძო მცოდნე პირები.

სათათბიროს საბიუჯეტო კომისია

სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ განაცხადა სასამართლოს სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. კამათში მონაწილეობას იღებდა მინისტრის თანაშემწე ვერევკინი. მომხსენებლის შემდეგ, **შინგარევმა და გოდნევმა** მოითხოვეს ადგილობრივ სასამართლოს კანონის აღდგენა 87 მ. ძირითადი კანონის ძალით. ამასთანავე შინგარევმა წინადადება მისცა, კომისიას ახლავე შეეტანა 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სესხი ამ კანონისათვის, „ეს აუცილებელი საჭიროა, ამბობს შინგარევი, სასამართლომ ახლავე უნდა დაიწყოს მოქმედება, ვინაიდან იმ დროს ხალხი გამოხვეწილებით უფრო გამრავლდა და ამავე დროს თვით სასამართლოს წევრები კი შემცირდნენ რადგან ბევრი მათგანი ომში გაიწვიეს“. **მინისტრის თანაშემწე** სულ წინააღმდეგ ამტკიცებდა. მისი აზრით ყოვლად შეუძლებელია ადგილოვრივი სასამართლოს განხორციელება ახლა, როდესაც ყველა ომშია და არჩევნებისათვის ხალხს ვერ ვიშოვითო. **ჩერნოსვიტოვს** აკვირვებს ვერევკინის არგუმენტები, იგი ამტკიცებს, რომ საერობო დაწესებულებებში ყოველისფერი ნორმალურად მიმდინარეობს; სულ მოკლე ხანში ამ დაწესებულებებში არჩევნებიც მოხდა, სჩანს ყველანი თავიანთ ალაგებზედ იმყოფებიან. სწორედ ესენივე ამოირჩევენ მოსამართლეს. შემდეგ ჩერნოსვიატოვი ეკითხება მინისტრის თანაშემწეს, ჰფიქრობს თუ არა სამინისტრო შჩეგლოვიტოვის წასვლის შემდეგ ისევ შეჰსცვალოს პოლიტიკა, რომ ხალხში მან ნდობა და პატივი დაიმსახუროსო. ნუ თუ განზრახვა არა აქვს ახლა მაინც მოსპონ ყველა ის დისციპლინარული და სისხლის საქმეები, რომელიც დაკავშირებულია ბეილისის საქმესთან, მაგ. სახელმწ. სათათბიროს წევრის შულგინის და მარგილინის საქმეები. მასთანავე ახლა მაინც არა ჰსურს სამინისტროს გადასცეს პოლიტიკური ნაფიც მსაჯულებს“. ვერევკინი აცხადებს, რომ სამინისტრო ეცდება რაც კი შეიძლება მალე გაატაროს ცხოვრებაში ადგილობრივი სასამართლო კანონი.

ალექსანდროვმა მიუთითა სამინისტროს წარმომადგენელთ, რომ საჭიროა მოემატოს ჯამაგირები სასამართლოს კანცელარიის მსახურებს. ვერევკინის განცხადებით სამინისტროს უკვე აზრათ ჰქონია ჯამაგირების მომატება. **გარუსევიჩი** აუწყებს კომისიას პოლონეთის სასამართლოს მდგომარეობას. გერმანელები, ამბობს დეპუტატი, შემოსვლის უმალ უპირველესად სასამართლოს მოწესრიგებას შეუდგნენ. ყოველ ალაგას დანიშნეს მსაჯულები და ისიც მხოლოდ პოლონელებისაგან. რუსეთის მთავრობის განკარგულებით, ჯარების უკან დახევის დროს მრავალი პოლონელი იქმნა დატუსაღებული, და არც ერთმა მათგანმა არ იცოდა მიზეზი ასეთი სასტიკ ზომისა. თან წამოიყვანეს ნოტარიუსებიც კი და ამნაირად თავიანთი კანტორები დააკეტვინეს. ბევრს იმათ არაფერი არ მიუღია მთავრობისაგან და დღევანდლამდის აუწერელ გაჭირვებას განიცდის. მინისტრის თანაშემწის განმარტებით პოლონეთიდან ხალხი წამოყვანილ იქმნა სამხედრო პირების ბრძანებით. რაც შეეხება სხვა და სხვა პირების დატუსაღებას, ამაზედ სათათბიროში უკვე შეტანილია საკითხი და სამინისტროც თავის დროზედ ჯეროვან პასუხს მოახსენებს. **კერენსკი** აცხადებს, რომ მას არ სურს მოისპოს არც ერთი საქმე, რომელიც მის წინააღმდეგ არის წამოწყებული. მე მხოლოდ ის მაკვირვებს, ამბობს კერენსკი, რომ პოლონეთში აუარებელი ხალხი დაიჭირეს სრულიად უსაბუთოდ და თანაც ამოდენა ხანი დამწყვდეულები არიან. მაგ. ვარშავის მსაჯულის ამხანაგმა ქილინმა განუცხადა იმ მშობლებს, რომელთა ბავშვებიც დაატუსაღეს, რომ მათი ბავშვების საქმე ყუთში იყო შენახული, მხოლოთ თვით ყუთი კი სადღაც არის წაღებული. შემდეგ კერენსკი რამდენიმე კითხვას აძლევს ვერევკინს. გაანთავისუფლებს თუ არა პოლონეთში შეპყრობილნი და დასჯის მათი დამტუსაღებელნი? რას იტყვის ვერევკინი, კანონიერია მძევლის წამოყვანა და მათი ციხეში დამწყვდევა. მისცენ პასუხის გებაში ის პირნი, ვინც ცრუ ხმები გაავრცელა სოციალდემოკრატებზე წევრების შეპყრობის დროს.

ვერევკინმა განაცხადა, რომ მას არა აქვს უფლება კერენსკის კითხვებზედ უპასუხოს.

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წევრთა საერთო წლიური კრება

6 ქრისტეშობისთვე, დილის 11 საათი 50 წუთი.

(დასასრული)

თავმჯდ. ბ-ნი კარიჭაშვილი. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ჰსურს შეიძინოს ანუ ხანგრძლივ იჯარით ანუ სყიდვით ხსენებული მამული და იმედიც აქვს, რომ საზოგადო კრება სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც 13 ამა თვეს შესდგება, ამის ნებას მისცემს საბჭოს. ამიტომ იგი სთხოვს წ. კითხვის საზოგადოების გამგეობას, საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა იმ მამულის შესახებ შეჩერებულ იქმნას აღნიშნულ დრომდისინ (13 ქრისტეშობისთვე). ჩვენმა გამგეობამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება.

ბ-ნი სილ. გაბუნია. სასიამოვნოდ მიმაჩნია წინადადება სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, მაგრამ იმ პირობით, რომ მამული გადაეცეს მას იჯარით და არა მისყიდვით. ამბობთ, ბიბლიოთეკა სხვას გადავცეთო,—წიგნთსაცავი სხვას გადავცეთო, მამული სხვას გადავცეთო. რაღა დარჩება წ.-კითხვის საზოგადოებას?! საერთოდ ცნობილია, რომ საზოგადოებას რაცრამ აქვს, ის ამაღლებს მის ღირსებას. სხვა საზოგადოებანი ცდილობენ, შეიძინონ რამე, ჩვენ კი დაჟინებით ვთხოულობთ, რომ რაც რამ გვაბადია, სხვას მივსცეთ და ჩვენ ცალიერები დავრჩეთო. ამ მამულის თაობაზე ნახსენებიც არ უნდა იყოს სიტყვა „გაიყიდოს“ (ბ-ნი ბუკია ადგილიდან: უსათუოდ უნდა გაიყიდოს. ხალხში სიცილი ასტყდა).

ბ-ნ ლ. ცაგარლის აზრით, მამული არც იჯარით უნდა გაიცეს და არც გაიყიდოს. წერა-კითხვის საზოგადოება სოფლის ეკონომიურ განვითარებას სათავეში უნდა უდგეს. ამიტომ გამგეობამ უნდა დაავალოს საზოგადო კრებამ იყოლიოს კოოპერატიული სექცია, რომელმაც მიწვეულ სპეციალისტთა შემწეობით მოუაროს საგურამოს მამულს. ორატორმა მოიყვანა მაგალითი გალიციის ცხოვრებიდან, საცა ეპისკოპოსმა შეპტიცკიმ მამული შესწირა „პროსვიტას“ და ამ უკანასკნელმა ეს მამული ააყვავა და გაამშვენიერა და არ უყვირია საქვეყნოდ ჩვენსავით,—ეს მამული მოგვაშორეთ თავიდან, თორემ ვიღუპებითო.

ბ-ნი აპ. წულაძე. მამული არ უნდა გაიყიდოს, მაგრამ თუ მაინცა და მაინც გაიყიდება, უნდა მიეყიდოს იგი ადგილობრივ გლეხებს. ხოლო თუ კრება მამულის შენარჩუნებას გადასწყვეტს უმჯობესი იქნება გადაეცეს იგი მოსავლელად სამეურნეო საზოგადოებას. ამიტომ ამის შესახებ სამეურნეო საზოგადოების საბჭოსთან უნდა გამართოს მოლაპარაკება გამგეობამ.

ბატონი ირ. რამიშვილი. მამულის იჯარით გაცემა სჯობია, თუ მოიჯარადრე ხელშეკრულობას შეასრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მამული უნდა გაიყიდოს, ანუ სამეურნეო საზოგადოებას გადაეცეს.

ბ-ნი ბუკია ამტკიცებს, რომ მამული უთუოდ უნდა გაიყიდოსო.

ბ-ნი გ. ლასხიშვილი აცხადებს, რომ გამგეობა მუდამ იმ მოსაზრებას ადგა, რომ მამული კერძო კაცზე არ გაყიდულიყო. გამგეობას თავად-აზნაურობა ჰყავდა მხედველობაში, იყიდის და მოუვლისო, ანუ რომელიმე სხვა საზოგადო დაწესებულება; უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოგვენახა კერძო კაცი არჩევით. ეხლა, როგორც მოგხსენდათ, სამეურნეო საზოგადოება თხოულობს მამულს ხანგრძლივ იჯარით ანუ შესყიდვით. გამგეობას, ორატორის სიტყვით, საუკეთესო საშუალებათ მიაჩნია, იჯარით მისცეს ჯერჯერობით, ხოლო შემდეგ თუ მოისურვებს საზოგადოება, სავსებით მიჰყიდოს, მაგრამ ორივე შემთხვევაში პროექტი ხელშეკრულობისა უნდა განიხილოს წ.-კითხვის საზოგადოების საგანგებო კრებამ, შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ იჯარით გაიცემა, გაიყიდება, თუ ჩვენვე მოუვლით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ცხრამდე დესეტინა ადგილი, რადგან ტყე აღარ არსებობს, იქ მხოლოდ ბუჩქნარია, რომელიც 30 წელიწადზე ადრე ტყედ არ გახდება, ხოლო რაც შეეხება სახნავ ადგილებს, ის გლეხების ხელშია იმით ირჩენენ ისინი თავს და ვინ იქნება ისეთი, რომ ეს ადგილები წაართვას მათ. გამგეობამ დიდი ფული დახარჯა ამ მამულზე და როგორც სამეურნეო საზოგადოების მიერ წარმოდგენილ გეგმიდან სჩანს, უფრო მეტი ფულის დახარჯვაა საჭირო, რათა 5—6 წლის შემდეგ ცოტაოდენი სარგებლობა მოგვცეს მამულმა. მაგრამ საზოგადოებას არ შეუძლიან საჭირო ხარჯის გაწევა და ვერც მოუვლის მამულს. ამიტომ ორატორი წინადადებას აძლევს კრებას, რომ პრინციპიალურად ნება მისცეს გამგეობას მამულის ან იჯარით გაცემისა და ან გაყიდვისა.

ბ-ნი ან. ღულაძე აცხადებს, რომ ილიასეული მამული ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, მიტომ რომ საზოგადოებამ ვერ მოუარა მას (**თავმჯდომარე** აჩერებს ორატორს: ეს თითონ გამგეობას აქვს ნათქვამი და ნუ იმეორებთო). თუ რამ იყო იქ, გამგეობამ ყველაფერი გაჰყიდა (**ხმა კრებიდან:** რა გაჰყიდა?), მაგალითად, ძროხა, კამეჩი, ცხენი, სამუშაო იარაღები და სხ. (**თავმჯდომარე:** ეს რამდენჯერმე მოგვიხსენებია კრებისათვის; ბრძანეთ,—იჯარით გაიცეს თუ გაიყიდოს). ორატორი სურვილს აცხადებს, რომ მამული ისევ წერა-კითხვის საზოგადოების საკუთრებად დარჩეს, მხოლოდ საქმის მცოდნე კაცი ჩააყენოს მამულის მომვლელად. სამეურნეო საზოგადოებას თუ გადაეცემა იჯარით, ორატორის აზრით, ეს საუკეთესო იქნება.

ბ-ნი ხართიშვილი. წინად კრებიდან ისმოდა ხმა, მოვაშოროდ გამგეობას ზედმეტი საქმეებიო, მაგრამ მაშინ გამგეობა ამის წინააღმდეგი იყო. ეხლა გამგეობა თხოულობს საქმის თავიდან მოშორებას, მაგრამ კრება უარზე დგას. გამგეობას რომ საქმე ცუდად მიჰყავს, ეს ცხადია, მაგრამ თუ იმის მიხედვით მოვიქცევით, როგორ მიჰყავს საქმე ჩვენს დაწესებულებებს, მაშინ, როგორც ბ-ნი ხართიშვილი ფიქრობს, მათ ყველაფერი უნდა მოვაშოროთ თავიდან (აქა-იქ ტაშის ცემა). თუ ვინმე წინააღმდეგია ჩემი ნათქვამისა, გაბედოს თქმაო (თავმჯდომარე: ნურავის ემუქრებით). გამგეობამ ისეთი კაცები ჩააყენა მამულში, რომელნიც ძარცვა-გლეჯის მეტს არას აკეთებდნენ და ამის გამო ყოველი კაცი გაკვირვებული იყო. სცადეთ სპეციალისტების ჩაყენება იქ და მაშინ დაინახავთ, ის მამული სარგებლიანია თუ უსარგებლო. გამგეობა საზოგადოდ გულცივად ეკიდება საქმეს; იგი გოგებაშვილისა და ხახანაშვილის ნაწერებსაც-კი იჯარით გასცემს [illegible] (თავმჯდომარე) სიტყვას [illegible] ორატორს. ორატორი თხოულობს, რომ მისი სიტყვა სავსებით იქნას შეტანილი ოქმში).

ბ-ნი ნ. ხომერიკი. გამგეობამ სახელი გაუტეხა მამულს და ვილა იყიდის ეხლა იმას. ორატორის აზრით, მამული ისევ საზოგადოებას უნდა დარჩეს. ფული თუ არა გვაქვს, ეს არ დაგვაბრკოლებს; ასეთი საქმისათვის სახელმწიფო ბანკი იძლევა სესხს. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აღძრულ საკითხის გადაწყვეტა გადაიდვას და ეხლა არჩეულ იქმნას მცოდნე კაცებისაგან კომისია, რომელიც მამულის ავ-კარგიანობას შეისწავლის და ამ საგნის შესახებ არსებულ ნაწერებს გაეცნობა.

ბ-ნი მუმულიას აზრით, ილიასეული მამულის შენარჩუნება კარგია, მაგრამ ყოველ წლობით 2 ათას მანეთის გაღება საზოგადოების კასიდან ზარალის დასაფარავად უკიდურესობამდე მიიყვანს საზოგადოებას. ამიტომ დილემა ეხლავე უნდა გადაწყდეს: თუ გაიყიდება მამული, გლეხებს უნდა მიეყიდოს, თუ იჯარით გაიცემა, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას უნდა მიეცეს.

ბ-ნ გრ. რცხილაძეს უკვირს, რა მოსაზრებით მოითხოვს ბ-ნი ხომერიკი საკითხის გადადებას და კომისიის არჩევას. ორატორის აზრით, ახალი კომისიაც ხომ იმავე აზრს გამოსთქვამს, რაც სამეურნეო საზოგადოებამ სთქვა. ამიტომ ბ-ნ რცხილაძეს საჭიროდ მიაჩნია ეხლავე ნება დართოს კრებამ გამგეობას მამულის ან იჯარით გაცემისა და ანუ გაყიდვის შესახებ.

ბ-ნი სანდრო შანშიაშვილი ციფრებით ამტკიცებს, თუ რამდენის შემოტანა შეუძლიან მამულის თითო ნაკვეთს და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მთელი მამული, სულ მცირე, 7.800 მანეთს შემოიტანს წლიურად. ამ ანგარიშის შემდეგ ორატორი ასე ათავებს თავის სიტყვას: ბრძანებთ, ბარგი მოვიშოროთო. კარგია საქმის შემსუბუქება, მაგრამ დღეს ისეთ პირობებში ვიმყოფებით, რომ კი არ უნდა შევიმსუბუქოთ საქმე, არამედ უნდა მოვიმატოთ. ამიტომ უნდა ავიყვანოთ სპეციალისტები და მათის შემწეობით მამულის მოვლა განვაგრძოთ. **ბ-ნი რ. გაბაშვილი** აცხადებს, რომ წინად გამგეობას უსაყვედურებდნენ, რომ მამულის მოვლა არ იცი, მაგრამ თავიდან არ იშორიებო. ეხლა გამგეობა თითონვე ამტკიცებს, რომ არ შეუძლიან მოვლა და მოშორებას თხოულობს, მაგრამ თქვენ არ უჯერიხართ. სრული ულოღიკობა იქნება და ლაპარაკიც-კი ზედმეტია იმაზე, რომ მამულს უთუოდ ჩვენ მოვუაროთ და ფულები ვხარჯოთო, როდესაც აშკარაა, რომ წ.-კითხვის საზოგადოებას არ აქვს სოფლის მამულის მოვლის თავი და არც ფულების დახარჯვა შეუძლიან, რომელიც არ მოეპოვება. ამიტომ ორატორი იმ აზრის არის, რომ წ.-კითხვის საზოგადოებამ ისარგებლოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წინადადებით და ეხლავე გადასცეს მას მამული, მაგრამ იმ პირობით, რომ 3 წლის განმავლობაში თითონ წ.-კითხვის საზოგადოებამ იხადოს ბანკის ვალის სარგებელი და იჯარა არ გადაახდევინოს სამეურნეო საზოგადოებას, რათა იმ საზოგადოებას შეეძლება მიეცეს ღირსეულად გაუძღვეს მამულის მოვლა-გაუმჯობესების საქმეს. **ბ-ნ გიგო დიასამიძის** აზრით, საკითხს ორი მხარე აქვს: ერთი არის სულიერი, ხოლო მეორე, ქონებრივი. სახლი, ეზო და ბაღი, საცა დიდებულმა მგოსანმა თავის სიცოცხლის ორი მესამედი გაატარა და საცა საუკეთესო თხზულებანი შექმნა, საზოგადოებას უნდა დარჩეს ილიას სახსოვრად; იმათ ვერ შეელევა წ.-კითხვის საზოგადოება. ხოლო დანარჩენი ნაწილი მამულისა უნდა გადაეცეს გლეხებს ანუ სხვა ვისმეს. **ბ-ნ ნ. ჩხიკვაძის** აზრით, რადგან გამგეობა თითონვე აცხადებს, რომ არ შემიძლიან მამულის მოვლაო, ამას კრებამ ანგარიში უნდა გაუწიოს. დაცულ იქნეს საზოგადოების საკუთრებად სახლი და ეზო, დანარჩენი მამული უნდა გაიყიდოს. **ბ-ნი ლ. ცაგარელი** არ ეთანხმება გ. დიასამიძეს და ნ. ჩხიკვაძეს და აცხადებს, რომ მარტო ქოხს რა მნიშვნელობა აქვს ილიას სახელისათვის. ამბობენ, რომ წყაროსთან რომ თუთა დგას, ის ყველაფერს ერჩია ილიასო. ორატორი იმ აზრის არის, ილიას სახელისათვის მთელ ადგილს უპატრონოს და გაამშვენიეროს საზოგადოებამ. ხოლო თუ მოვლის თავი არ აქვს გამგეობას, უნდა გადადგეს (რამდენიმე კაცი ტაშს უკრავს). **ბ-ნი ს. ყაზახაშვილი** აცხადებს: წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ აუწყა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს; რომ მხოლოდ ათი-ათასი მანეთი გვაქვსო. ეს ფული სრულებით საკმარისი არ არის მამულის დასამუშავებლად. ვინაც აქ ამტკიცებდა, რომ თითონ წ.-კითხვის

საზოგადოება შესძლებს მოვლასო, თავის დღეში ერთი ბარი მიწაც არ გადაუბრუნებია.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით შეეხო მამულის გაძღოლის საქმეს, მაგრამ ამ დროს ბ-ნმა ნ. ხომერიკმა უსაყვედურა თავმჯდომარეს, რათ მიეცი სიტყვის ნება ყაზახაშვილს, როცა ორატორების ჩაწერა შეწყვეტილი იყოვო. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ჯერ იმას არ ულაპარაკნია და ეხლა ნება მიტომ მივეცი, რომ ის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელია და მისი ლაპარაკი საჭიროა საკითხის გამოსარკვევადო. ბ-ნმა ყაზახაშვილმა იწყინა ხომერიკის შენიშვნა და განაცხადა, რომ აქამდისინ ჩუმად ვიჯექი და ეხლა ხმა ამოვიღე, ეს იმიტომ, რომ ორმა ორატორმა უდიერად მოიხსენია სამეურნეო საზოგადოებაო. ეხლა რადგან ჩემი ლაპარაკი გწყენიათ, თავს ვანებებ ლაპარაკსო (რამდენიმე კაცმა ხოხოვა ბ-ნს ყაზახაშვილს განეგრძო ლაპარაკი, მაგრამ იმან დარბაზი დასტოვა).

ბ-ნი გ. ლასხიშვილი აცხადებს, რომ უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში 2 კომისია იყო შემდგარი სხვა და სხვა სპეციალისტებისაგან და ახალმა კომისიამ რა უნდა გვითხრას ახალი. საკითხის გადადება საქმის თავიდან მოშორებას ნიშნავსო.

თავმჯდომარე შეეკითხა კრებას: ეხლავე გადაწყდეს საკითხი, თუ შემოდგომისათვის გადაიდოსო.

45 ხმა მომხრე აღმოჩნდა საკითხის ეხლავე გადაწყვეტისა. ხოლო 25 საკითხის გადადების მომხრე.

შემდეგ **თავმჯდომარემ** დააყენა საკითხი: ვინ არის მამულის გაყიდვის მომხრეო. ყველა წინაღმდეგი აღმოჩნდა მამულის გაყიდვისა, გამგეობის წევრთა გარდა.

ამ რიგად ილიასოულ საგურამოს მამულის გაყიდვა არ მოისურვა კრების არც ერთმა წევრმა, ხოლო რაც შეეხება იჯარით გაცემას, ამის ნება წინადაც ჰქონდა გამგეობის და კვლავაც ექნება.

ამის შემდეგ გამგეობას სახელით თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ წარსულ კრების დროს ორი ორატორი გაკვრით უდიერად შეეხო გამგეობის ზნეობრივ მხარეს, მაგრამ კრების დანარჩენ წევრთაგან არავინ არ განაცხადა პროტესტიო. ამიტომ თუ დღეს კრება ნდობას არ გამოუცხადებს გამგეობას, ეს იმის მომასწავებელი იქნება, ყველანი იმ 2 ორატორის აზრს იზიარებთო.

აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ნდობა გამოუცხადა გამგეობას და ისიც დაკმაყოფილდა.

ბოლოს, გამგეობის წინადადებით, კრებამ მიანდო გამგეობას საზოგადოების სახელობაზე დაამტკიცოს ილიასოულ სახლი ანდრეევის ქუჩაზე, რომელიც გამგეობის მეცადინეობით უკვე განთავისუფლებულია ვალებისაგან.

კრება შემდეგისათვის გადაიდვა.

ლ.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

ქუთაისის მცხოვრებს ივანე მახვილაძეს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გამოსცეს ქართულ ენაზე ყოველ დღიური გაზეთი სახელად „ჩვენი მეგობარი“.

— იმერეთის გლეხობა თხოვნით მიჰმართავს ქუთაისის საერობო სააგრონომიო ორგანიზაციას, მომავალ წლისთვის დაეხმაროს მას გოგირდ-შაბიამანის შოვნაში. როგორც ვიცით წელს ეს საქმე მოსაწესრიგებლად ჩაბარებული აქვს დასავლეთ საქართველოს „მევენახეობისა და მეღვინეობის“ კომიტეტს.

დუშეთი.

1—30 ღვინობისთვეს დუშეთის უძრავ ქონებათა პატრონებისთვის გადაუხდევინებია სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკს 186 მან. 18 კ., ხოლო საერობო და შემფასებელ კომისიისა—498 მ. 99 კ.

ახალციხე.

ერთი თვის განმავლობაში მცხოვრებთ გადაუხდიათ ნედომკები სადამფასებლო კომისიისა ქალაქის სასარგებლოდ 1,127 მან. 10 კ.

თელავი.

ოთხი შეიარაღებული ბოროტ მოქმედი თავს დაესხა სოფ. ახალგავაზის მეწისქვილეს სიმ. რევაზაშვილს, წაართვეს ოთხი კოდი ფქვილი და მიიმალნენ.

სოფ. ჰალა (ზემო იმერეთი)

საჩხერის ბოქაულმა დათა აბაშიძის სახლში შეიპყრო ბ. ბახულია, რომელსაც სასამართლოს მიერ 18 წლის კატორღა ჰქონია მისჯილი და აგერ 5 წელიწადი ყოფილა, რომ მთავრობას ემალება. ბახულიას ბრალდებოდა რაჭველების თავდასხმა.

ალავერდი.

ალავერდის სპილენძის ქარხნის მუშათა ცხოვრება მეტად უნუგეშოა. მათთვის არ არსებობს სამუშაო დროის განსაზღვრა, აგრეთვე არც ერთი მათგანი არ კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს. საჭიროა მუშების გამოფხიზლება კულტურა, განათლებისადმი ყურადღების მიქცევა.

სოფ. ზემოხეთი (გურია).

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოფ. ზემოხეთის მცხოვრებთ დააარსონ მომხმარებელი კოოპერატიული საზოგადოება „გაიაფდა“.

სოფ. თამაკონი (სენაკ. მაზ.).

სოფ. თამაკონის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს, ნება დართონ რომ დააარსონ კოოპერატივის დუქანი „სინათლე“.

სოფ. ჩახავალი (რაჭა).

აქეთ ძლიერ გახშირდა ქურდობა. სოფელი სხვა უბედურებასთან ერთად შიმშილობასაც განიცდის.

საჩხერე

ფქვილმა საჩხერეში მეტად იკლო. პური გაძვირდა, ამინდები ცუდია. აქ აპირებენ კოოპერატიულ დუქნის დაარსებას. საჩხერის ინტელიგენცია სამკითხველოსთვის ახალ ბინას ქირაობს.

სოფ. კორბოული (ზემო იმერეთი).

ადგილობრივი მცხოვრები ვ. ნოზაძე სოფელზე მოშორებით მგზავრობის დროს მგლებს შეუჭამიათ.

ს. დარჩელი

აქ მოვიდა თბ. ქართ. საქ. საზ. მდივანი ბ-ნი პ. საყვარელიძე, რომლის თანადასწრებითაც გაიმართა სასოფლო თათბირი. ბ-ნმა პ. საყვარელიძემ კრებას წინადადება მისცა შეუდგეს სოფლის გაჭირვების გამორკვევას და დახმარების საჭიროების რაოდენობა წარედგინოს საქველმოქ. საზოგადოებას.

სოფ. მაცხოვრის კარი (სამეგრ.).

ადგილობრივ მცხოვრებთ ვ. ჭანტურიას და თოფურიას ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს ჭანტურიამ ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა თოფურია. ჭანტურია დაატუსაღეს.

სოფ. ქვემო ქვიტირი (იმერეთი).

ამ ბოლო ხანს აქ გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელმაც თითქმის გაანახევრა ოთხფეხი საქონელი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს საგუბერნიო ბეითალმა.

დაბა-სოფელი

არაგვის პირი, (დუშეთის მაზრა). გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებულმა წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა და ალიაქოთი გამოიწვია აქეთ. მაზრის უფროსმა საჩქაროთ შეჰყარა ყველა სოფლებიდან რწმუნებულები. გამოკითხვის შემდეგ უფროსმა გამოუცხადა: ამის შემდეგ საბეგროდ აღარ გახვიდეთო, თუ შესაფერისი საფასური არ მოგცენ და სათანადო ქაღალდი არ მოგივიდეთო, სადაც ყველაფერი გარკვეულად იქნება აღნიშნული, საგინიც და ფასიცაო. თუ არ მოგივიდეთ ჭკუაში, ნუ წახვალთო, ძალა არავის შეუძლიანო. აშკარაა, როგორ „ბეგარასთან“ ჰქონიათ საქმე აქამდის საწყალ გლეხებს, მაგრამ ვინ იყო იმათი მშველელი. განა აქამდის კი ურიგო იქნებოდა ამ საგნის ასე გამორკვევა. გლეხებს ბევრჯელ შეუჩივლიათ მისთვის ამ „ბეგრის“ თაობაზე. მაგრამ უშედეგოდ გამობრუნებულან.

დუშეთის მოხელეებსაც შეეკითხნენ, თუ რა სახით მიიღეს მათ შუშა. საკვირველია ღმერთმანი, ასეთი შეკითხვა-გამოკითხვით რა ჭეშმარიტებას უნდა მიაღწიონ? შესაძლოა, რომ მოხელეებმა ფასი გაიღეს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მიმტანი გლეხი ქირის ფასს—ხურდა ფულს ქუჩაში ჰკრეფდა, ნუ თუ 40—70 კ. ღირს ეხლა კაცი ხარ-ურმით დღეში. ნატარიუსში გაკეთებული ხელწერილი იყო მათ შორის დადებული. ამ გვარ შემთხვევაში მამასახლისების და სტრაჟნიკების მათრახებს აქვს ძალა და გასავალი. ვნახოთ რა წესიერება დამყარდება აქეთ ამის შემდეგ.

აქეთ მეტის მეტი სიძვირეა ყველაფრისა, დღითი დღე მატულობს ყველაფერზე ფასი. ვაჭრები მალავენ ყველაფერს. ეხლა მათი აღდგომაა. ზოგი კიდევაც ნატრობს, ნეტავი ეს ომი დიდხანს გაგრძელდესო, იკითხოს საწყალმა გლეხმა, რომლისთვისაც არას დროს არ გათენებულა თეთრი დღე. ბაზარზე თუ რამ უნდა დაიფდეს, ისევ სოფლიდან შემოტანილი, რადგან გლეხი ყველასათვის და ყველგან დაბალი ღობეა. ბოქაულს ვინლა სჩივის „გოროდოვებიც“ კმარან მათთვის ნიხრის დასაწესებლად. ერთი სიტყვით ცხოვრება თან და თან ძნელდება და სასოწარკვეთილებაში შედის კაცი, რაკი არსაიდან არ ხედავს შველას.

აქეთ არც მომხმარებელი მაღაზიები არის და არც სხვა რამ, რითაც გაიშედავათოს კაცმა თავისი უმწეო და დუხჭირი ყოფა-მდგომარეობა.

არაგველი გლეხი.

ჩინეთის იმპერატორი იუანშიკაი

მეოთხმოცდაათე წლებში ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავი იჩინა ნიჭიერმა და გამოჩენილმა ჩინეთში რეფორმების მომხდენმა იუანშიკაიმ. ამ ხანად მისი მთავარი მიზანი იყო ჩამორჩენილი ჩინეთი ეკონომიურად დაეახლოვებინა ევროპისათვის. ჩინეთ-იაპონიის ომის დროს იგი დაუახლოვდა ჩინეთის პროგრესისტების ბელადს კან-უივეს. 1898 წელს, როდესაც სამეფო სასახლეში არეულობა მოჰხდა, იუანშიკაიმ ამ დროს გამოიჩინა თავისი პოლიტიკურ მიმართულებაში ხასიათის სიმტკიცე. როდესაც ჩინეთის იმპერატორმა გუან-სუიმ პროგრესისტის კან-უივეს იძულებით განიზრახა ჩინეთის სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა, იუანშიკაიმ იმდენი მოახერხა, რომ მეფის ნდობაც დაიმსახურა და ამავე დროს არც კავშირი შეუწყვეტია დედოფლის ცი-სის რეაქციონურ პარტიასთან.

იმპერატორის დავალებით იუანშიკაი ტიანძინში უნდა წასულიყო, მოეკლა რეაქციონერების მეთაური იანლუ, მიეღო ჯარის სარდლობა იქიდან პეკინში გადასულიყო და იქ შეეპყრო დედოფალი. იუანშიკაი გაემგზავრა, იმპერატორის გეგმა უანლუს შეატყობინა და იმის მაგივრად რომ დედოფალი ტყვედ შეეპყრო თვით იმპერატორმა თავი ციხეში ამოჰყო. დამყარდა რეაქცია. დაპირებული რეფორმები უკუგდებულ იქმნა. პროგრესისტმა კან-იუვემ გაქცევით უშველა თავს. მისი მომხრეთაგანნი ნაწილი სიკვდილით დასაჯეს და ნაწილიც გადაასახლეს.

როდესაც რეაქციის დახმარებით იუანშიკაიმ თავის პირველ გამარჯვებას მიაღწია, არ დააყოვნა და რეფორმატორების მხარეს გადავიდა. ამის ჯილდოდ ჯილის პროვინციაში მეფის ნაცვლობა მიიღო. თავს უქონავს ევროპიელებს, ცდილობს ხალხში სწავლა-განათლების შეტანას და როგორც ყოველთვის, სცდილობს ჯარის მოწესრიგებას. თავისი მომხრეებით და დიპლომატიურის ალღოთი მალე პროგრესიულ მოხელის სახელი გაითქვა. ბოქსერის აჯანყების შემდეგ სდგება ხანა პარლამენტარულ მზადებისა რეფორმების განსახორციელებლად. 19 მარიამობისთვეს 1906 წელს იუანშიკაის შთაგონებით და გავლენით დედოფალი ცი-სი კონსტიტუციურ წესწყობილების შემოღებას აღასტურებს. ერთის წლის შემდეგ მეორე პროგრესისტ მეფის ნაცვალთან, სახელად უანჩეტანთან ერთად იუანშიკაი კაბინეტის შემადგენლობაში შედის და იმდენი ჰქმნა რომ დედოფალს ახალი ბრძანება გამოაცხადებინა, რომლის ძალით ჩინეთში 9 წლის განმავლობაში თანდათან კონსტიტუციური წესწყობილება უნდა განმტკიცებულიყო. გაიხსნა პარლამენტი და დაიწყეს მუშაობა. პარლამენტს უნდა სამუდამო პრეზიდენტი აერჩიათ და ასეთად იუანშიკაი აირჩიეს, შემდეგ ისე ახერხებს თავის გენერლების დახმარებით რომ დაითხოვს პარლამენტს და თვით იმპერატორის გვირგვინს იდგამს თავზე.

რუსეთი

გადასახადი შემოსავალზე

სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე წევრების შორის მოხდა თათბირი შემოსავლის დაგვარად გადასახადის შემოღებაზე.

მემარჯვენეთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ახლა აუარებელი ფული სჭირია, ამ რეფორმის შემოღება მაინც სახიფათოა. შეუძლებელია ახალ კანონის უცებ შეთითხნა. სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გაძლიერებისათვის უფრო განსაკუთრებული ზომებია საჭირო. შემოსავალზედ მათის შემოღების დამუშავება უფრო მშვიდობიან დროისთვის უნდა გადაიდოს.

თამბაქოს ბაზარი.

წელს მთელ ყუბანის ოლქში თამბაქო მოსულა 1,200,000 ფუთი. დათესილი ყოფილა სულ 14,500 დესეტინა. ასე რომ შარშანდელზედ უფრო 25 პროც. მეტი ადგილი დაუჭერია თამბაქოს. საშუალო შემოსავალი დესეტინაზე ამ 47 წლის განმავლობაში უდრიდა 72 ფუთს; წელს კი 80 ფუთამდის ავიდა. თვით თამბაქო წელს შუათანა ხარისხისაა.

მიუხედავად იმისა რომ თამბაქო საზოგადოთ წელს უფრო მეტი მოვიდა, არ კი დაიაფდა, პირიქით დაძვირდა. ეს გარემოება იმას მიეწერება, რომ რუსეთის მექარხნეები ძალიან ეტანებიან სამხრეთის თამბაქოებს. ერთი შეხედვით თამბაქოს უფრო უნდა დაეკლო ფასები, რადგან პოლონეთის ქარხნები აღარ მუშაობს; მაგრამ მიუხედავად ამისა ფასები იმიტომ იწევს, რომ ადესის და ყირიმის ქარხნებმა სამაგიეროდ ძალიან გააძლიერეს წარმოება. მოთხოვნილება თვით ქარხნის დამზადებულ თამბაქოზედ ერთი ორად გაიზარდა. გიორგობისთვეში წარსული წლის თამბაქო საუკეთესო ხარისხისა იყიდებოდა 17 მ. 25 კ. პირველი და მეორე ხარისხისა შუათანაზედ მაღალი 16 მ. 25 კ. პირველი და მეორე შუათანა 14 მ. 20 კ.—17 მ. 25 კაპეიკამდე. მესამე ხარისხისა 9 მ. 50 კაპეიკიდან—10 მ. 25 კაპეიკამდის. მეოთხე ხარისხისა ტრაპიზონისა 13 მ. ხოლო სოხუმისა „სამსონი“ 25 მ. ფუთი.

უცხოეთი

ახალი საპარლამენტო პარტია ინგლისში.

ინგლისის პარლამენტში ზოგიერთა ლიბერალთა და უნიატთა პარტიების დეპუტატების შორის კარგა ხანია კერძო მოლაპარაკება არსებობს. მათ განზრახვა აქვთ თურმე შეჰქმნან ერთი ნაციონალი პარტია, სერ ედუარდ კარსონის წინამძღოლობით. ახალ პროგრამის მთავარი მუხლები ჯერ არავინ იცის. დაბეჯითებით მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ახალი პარტია ოპოზიციის როლის ამსრულებელი იქნება. ახლა ინგლისის პარლამენტში, იმის შემდეგ რაც კონსერვატორებმა და ლიბერალებმა ერთი გაერთიანებული მინისტრთა კაბინეტი შეჰქმნეს, ოპოზიცია სრულებით აღარ არსებობს. გაზეთი „ტაიმსი“ ამ ახალი პარტიის შესახებ სწერს შემდეგს: ახალი პარტიის დანიშნულება იქნება მიიღოს ყოველი ზომები, რომ აიძულოს მთავრობა, ომი მეტის სიმხნევით განაგრძოს. უკანასკნელი გადაწყვეტილება და შეთანხმება ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ცხადია, რომ მთავრობას ძალიან მოკლე ხანში მოუხდება ცხარე კრიტიკის მოსმენა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

6 ქრისტეშობისთვეს კრება ჰქონდა ბაქოს მაჰმად. საქ. საზ. „საფა“-ს. განსახილველი იყო მიმდინარე მოქმედების ანგარიში და დამხმარების მდომ დაზარალებულ მცხოვრებთა მდგომარეობის გაცნობა.

— ამ დღეებში ორენბურგში მაჰმადიანთა მსახიობებმა გასტროლები დაასრულეს და შემდეგ ორ რიგად გაიყვნენ. ერთ წრეს სათავეში უდგას ცნობილი მაჰმადიანი მსახიობი ქალი საიჰმ-ჯამალ ხანუმ გიზატული მხოლოდ მეორე წრის მეთაურად მსახიობი მურაზინ იმანსკი. ხსენებული წრე დღეიდან სხვა და სხვა ადგილებში გაჰმართავს წარმოდგენებს.

— ქ. ჩელიაბინსკში მაჰმადიანთა ახალგაზდობამ წარმოდგენა გაჰმართა, რომლის შემოსავალი ორ ნაწილად იქმნა გაყოფილი. ერთი ნაწილი გადასცეს ომიანობისგან დაზარალებულ მცხოვრებთ, მხოლოდ მეორე გადაიდო ჩელიაბინსკის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

— ამ ჟამად უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან ყარს არდაგნის და ოლთისის ზოგიერთი მახლობელი სოფლები. ხსენებულ სოფლებს უპირველეს ყოვლისა შიმშილობა სტანჯავთ. ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება სცდილობს მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ზომები მიიღოს.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი

ქუთაისის ქართველ საზოგადოებას საზოგადო საქმისადმი გულგრილობა ყოველივე ფეხის გადადგმაზე ემჩნევა. არ ემჩნევათ ჩვენი საზოგადოებისადმი არც სიყვარული და არც გულწრფელობა, და ეს რომ ასე არ იყოს, როგორ უმზერენ ჩვენს თეატრს, ქართველი ხალხის გათვითცნობიერების ტაძარს. თუ რუსეთის რომელიმე პროვინციის მოხეტიალე მსახიობების სისულელეებს იგივე ქართველი საზოგადოება სასოებით ესწრება და თეატრის დარბაზს ავსებენ, —არსად სჩანან იმ დროს, როცა ქართული წარმოდგენები იმართება. თუ ძველ პიესებზე საყვედურს აცხადებდენ ახალსა და შინაარსიან პიესებს სულ არ ესწრებიან. მაგრამ ნათქვამია „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“ და ამ თქმულებას ზედმიწევნით ასრულებს ქუთაისის საზოგადოება. ეს ასე რომ არ იყოს რას ნიშნავდა, რომ 6 ქრისტეშობისთვეს თეატრის დარბაზში მეტად მცირე საზოგადოება იყო?!. ამ დღეს მშვენიერი აზრიანი და შინაარსიანი პიესა დაიდგა. „შენიჭირიმე“ შალვა დადიანისა რომელიც ღირსია მოწონებისა და პატივისცემისა. რამდენათ საგულისხმიეროა თვით სათაურით, იმდენათ ძლიერია პიესის ყოველი სურათები. შინაარსი აღებულია დრო წასულ თაობიდან. ამ თაობის წარმომადგენლებიც გრძნობენ, რომ მომავალი მათ არ ეკუთვნით და მათ მაგივრად იგი ეგებება უფრო გონება სალ, ღემდის დაბეჩავებულ თაობას. ბ. დადიანს ეტყობა ბევრი უშრომია ამ პიესის დაწერის დროს და ბევრიც უშრომია სცენაზე დასადგმელად და მისმა შრომამ ნაყოფიც გამოიღო... მაგრამ ვინ უმადლის, ვინ ნახა მისი პიესა სცენაზე!.. სულ მცირე ნაწილმა საზოგადოებისამ, რომელნიც მეტად კმაყოფილნი დარჩენ. სირცხვილია ჩვენი საზოგადოების ასეთი გულგრილობა! მაგრამ ქუთაისში კიდევ ჩამოვა რუსის ცნობილი კომიკის ბ. ბალიევის დასის სახელით, რომელიმე პროვინციელი უხეირო მსახიობთა დასი და ქუთაისის თეატრი ქუთაისის ქართველი საზოგადოებით კვლავ აივსება.

ნ.—ი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

გერმანიაში [illegible] დატყვევებულების [illegible] საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან.	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან.	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საავ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ.	8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Тавартк иладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვილ,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი **„„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი 4. №